პიონერი

1926 სახელმწიფო გამომცემლობა № 5

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

		გვ.
1.	გარდაიცვალა ამხ. ლ. კრასინი	1
2.	ჩვენ მოედიოდით ბრძოლით—ლექსი—კ. ლორთქიფანიძის	2
3.	სილვერი — ე. ზოლას	3
4.	ახალგაზრდობა — ლექსი — ე. პოლუმორდვინოვის	7
5.	თედო ხომ პიონერია — ბიჭიკოს	8
6.	პიონერი ოჯახში — ნოვინის	10
7.	სასკოლო კლუბი — ზანის	13
8.	ჩვენი წითელი ჯარის მომავალი მეთაურები — გ. აბესაძის	15
9.	როგორ არის მოწყობილი ქვეყნიერება — კ. ლეოს	16
10.	სარწმუნოება და მეცნიერება — ვ. მა-ნის	20
11.	ბავშთა შემოქმედება	22
12.	თამაშობანი	24

329.15 3 (05)
3-47.

მუშათა კლასის საქმისათვის იყავ მზად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერი

1926
15 დეკემბერი

განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის და საქართველოს მ. ჯ. ო. ცენტრალური მეთაურის (სარ. ა. ლ. კომკავშირის ცეკასთან) ქვეშ არსებული მაჯუმასათვის

წელიწადი I
№ 5

გარდაიცვალა ამხ. ლ. კრასინი

ლეონიდე ბორისის ძე კრასინი დაიბადა 1870 წლის 15 ივლისს, ქ. კურგანში, ტობოლის გუბერნიაში. სწავლობდა ტიუმენის რეალური სასწავლებელში და შემდეგ პეტერბურგის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში. სტუდენტობის პირველი წლებიდანვე ლ. კრასინი მონაწილეობას იღებს რევოლუციონურ მოძრაობაში.

1900 წ. ამხ. კრასინი მუშაობს ბაქოში, როგორც ინჟინერი, 4 დიდი ელექტრო სადგურის აშენებაზე. ამავე დროს ის უყურადღებოდ არ სტოვებს რევოლუციონურ მუშაობასაც. ბაქოში ამხ. კრასინმა დაარსა რამოდენიმე სოციალ-დემოკრატიული სტამბა. 1904 წ. ის მუშაობდა ორეხოვო-ზუევში.

1905 წ. ამხ. კრასინი მონაწილეობას ღებულობს პარტიის ლონდონის კრებაზე, სადაც მას ცენტრალური კომიტეტის წევრად ირჩევენ.

1908 წელს კრასინს ატუსაღებენ. ციხიდან განთავისუფლების შემდეგ ის იძულებულია წავიდეს საზღვარგარეთ. ბერლინში ის გულმოდგინედ მეცადინეობდა ტეხნიკურ ცოდნათა დარგში.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ამხ. კრასინი კვლავ აქტიურ მუშაობას ეწევა. ის ღებულობს მონაწილეობას ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციაში. 1918 წელს მან დაიჭირა წითელი არმიის მომარაგების საგანგებო კომისრის, ვაჭრობის და მრეწველობის და გზათა კომისრის თანამდებობა.

1920 წელს, ამხ. ლენინის წინადადებით, კრასინი ინიშნება საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლად ლონდონში. 1921 წლის მარტში კრასინი ხელს აწერს საბჭოთა რუსეთისა და ინგლისის სავაჭრო ხელშეკრულებას. ამხ. კრასინი იყო საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში გენუის და გაგის კონფერენციებზე. შემდეგ ის იქნა დანიშნული საგარეო და საშინაო ვაჭრობის კომისრად. 1924 წ. ამხ. კრასინი დანიშნულ იქნა წარმომადგენლად ს. ს. რ. კავშირიდან პარიზში.

პარტიის მე-XIII კრებაზე ამხ. კრასინი არჩეულ იქნა ცენტრალური კომიტეტის წევრად.

უკანასკნელ ხანებში ამხ. კრასინი იყო წარმომადგენლად ინგლისში, სადაც ის გარდაიცვალა გულის დამბლისაგან ამა წლის 24 ნოემბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ მოვდიოდით გრძოლით

ერთხელ პიონერებმა
ქარხნის კუთხე ყოველი
მოიარეს, იხილეს
მძლავრ ბორბლების ტრიალი.
იქ—დინამო, ცეცხლიან
ნაპერწკლების მთოველი,
აქ—მილები, ყოველ წამს
მქშენავი და მყვირალი!
როცა მზე იქნებოდა
შუბის ტარზე დასული,
მოგროვდენ, მეშინქანე
ჩაისვეს მათ შუაში,
უთხრეს: „ძიავ, გვიამბე
რამე შენი წარსულის,
თქვენი ძველი ცხოვრება,
ყორანივით გულშავი!“
„კარგი,—უთხრა მოხუცმა,—
მომისმინეთ, ბავშვნო,
ეხლა, ხედავთ, იზრდებით
თავისუფლად, ალერსით.
ოდეს გიცქერთ, ჩემს გულში
სიხარული იშლება.
თქვენი სახე მგონია
მზის სხივებით ნალესი!
ეხლა ჩვენი ცხოვრება
სიხარულის მფენია,
მაგრამ დღემდე, გახსოვდესთ,
ბევრი შრომი გვინახავს.
ციხე, ცრემლი, წვალება
ბევრი მოგვითმენია...
როს ძალლივით გვრეკავდენ:
„წა, მოშორდით, ვინა ხართ!“
მიდიოდა თვეები...
გული ცეცხლით აივსო.
გულში შურისძიების
ალმა გადაიარა.
ვთქვით: „ბრძოლების გარდა ჩვენ
ვერაფერი გვიხსნისო“.
ლოდინმა და მოთმენამ
გული დაიარა...
დავდიოდით იმ დღიდან
ქალაქიდან ქალაქად.
მშრომელთ გულში გავშალეთ
აჯანყების ფრთები:
„კმარა ჩვენი სიცოცხლის
ფეხქვეშ თრევა ქალამნად,
დავინგრიოთ მონობის
ამართული მთები“.
სოფლებში და ქალაქად
მოვეფინეთ ამბოხით.
ჩვენთან შემოიკრიბა
დაჩაგრულთა რიგები.
ვისაც მძიმე ცხოვრებით
გული ჰქონდა ნაპობი,
გვწამდა, გამარჯვებულნი
ბრძოლებში ჩვენ ვიქნებით!...
და აღსრულდა კიდეც:
ძლევით გადავიარეთ,
ძველ ქვეყანას დავეცით
თავზე რისხვის ზვირთები!
დღეს ჩვენ გულზე ვერავინ
ვერ იხილავს იარებს,
დღეს ახალი ცხოვრებით
ვსულდგმულობთ და ვინთებით!..
აწი თქვენი ვალია:
ჩვენი მონაპოვარი
დაიცვათ და გაუძღვეთ
სისხლით ნაყიდ ცხოვრებას,
თქვენ ხართ ჩვენი იმედი,
მსოფლიოს მომავალი
თქვენნი უნდა გარდიქმნეს
სიხარულის მორევად!
გაათავა მოხუცმა... ირგვლივ
ქახილს ისვრიან:
„მზად ვართ ჩვენი მკლავებით
ჩაგრულები დავფაროთ.
ჩვენ, ნორჩები, ვიფიცავთ
წითელ დროშას სისხლიანს,
პიონერის სახელი
ღირსეულად ვატაროთ!“

კ. ლორთქიფანიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. თავისუფლების ოცნებაში.

6 წლის ბავშვი იყო სილვერი, როცა დედა მოუკვდა. მის მამას მურეს სათაყვანებელი ცოლის სიკვდილმა თავზარი დასცა. მან თავი მიანება საქმეებს და ძლივს გააწია ერთი წელი. ერთხელ დილით იმ ოთახში იპოვეს ჩამოხრჩობილი, სადაც მისი ცოლის ტანსაცმელი ინახებოდა.

ობლად დარჩა სამი ბავშვი: ქალი 19 წლის, რომელიც ერთს ჩინოვნიკს, ფრანსუას, მისთხოვდა, 24 წლის ჯაბუკი და სილვერი.

უფროსმა ძმამ არ იცოდა, რა ექნა ბავშვისათვის და თავის ბიძას, პიერ რუგონს, მიუყვანა, რომელთანაც თვით ჭსახურებდა ნოქრად. ბიძამ რომ სილვერი დაინახა, სახე დაღმინჭა: მისთვის რა საზეიმო იყო ბავშის გამოკვება. სილვერი, რომელიც პიერის ცოლმა, ფელისიტემ, თავიდანვე შეიჯავრა, მუდმივ ცრემლის ღვრაში იზრდებოდა, როგორც სხვა მიტოვებული ბავშვები, მაგრამ ის შეიცოდა ბებია ადელაიდამ, რომელიც იშვათად ეწვეოდა ხოლმე რუგონს, და გამოსთხოვა ბავში.

პიერი აღტაცებაში მოვიდა, უსიტყვოდ დაუთმო ბავში და ხმაც არ ამოუღია პენსიის გადიდებაზე, რომელსაც თავის დედას, ადელაიდას, აძლევდა ყოველთვიურად.

მაშასადამე, ბებიას ამ პენსიით უნდა გამოეკვება თავისი თავიც და ბავშიც.

ბებია ადელაიდა ამ დროს 75 წლის იყო და პატარა სილვერის ბავშური ღიმილი მისი გამათბობელი უკანასკნელი მკრთალი სხივი იყო.

იგი მარტოდმარტო იყო, ეშინოდა მარტოობაში სიკვდილისა და ამიტომ გამოითხოვა ბავში.

მრისხანე და ჩუნ, იგი მთელი საათობით უყურებდა მის თამაშობს და აღტაცებული უცდებდა ყურს საშინელ ხმაურს, რომელითაც ავსებდა პატარა სილვერი ძველ ქოს.

მოძველებული ქოთ. ზანზარებდა ‘ოახუნისაგან, როცა სილვერი ჯოხზე გადამჯდარი უელიდა მას ერთი ამბით და ყვირილ-ღრიალით არახუნებდა კარებს.

ადელაიდა სიყვარულით და გატაცებით უელიდა ბავშს.

სილვერი ბავშური ალერსით ეწოდებდა ბებიას დედა დიდოს.

ეს სახელი შერჩა დედაბერს, რადგანაც პარიზში ამგვარი შეერთება სიტყვებისა ალერსად ითვლება. ბავში განსაკუთრებული სინაზით და მოწიწებით ეპყრობოდა ბებიას.

პატარაობაში, როცა ბებიას ეული შეუყონდებოდა, სილვერი ტირილით გარბოდა გარეთ, ბებიის დაღმენჯილი სახით შეშინებული: ბებია რომ მობრუნდებოდა, იგი გაუბედავად მიუახლოვდებოდა და მზად იყო გაქცეულიყო ყოველს წამს, თითქოს საცოდავ ბებერს მისი ცემა შეეძლო.

შემდეგ, როცა სილვერი 12 წლის შეიქნა, იგი ოთახში რჩებოდა და ბებიას აღევნებდა თვალყურს, რომ ტახტიდან არ გადმოვარდნილიყო. მთელი საათობით ეჭირა ბებია ხელებმოხვეული, როცა მას ბნედა აუვარეებოდა.

როცა გაუელიდა ბნედა, სილვერი დიდის თანაგრძნობით შეჰყურებდა მისი სახის ნერვიულ დამანჭვას, მის გამხდარ სხეულს, რომელსაც კაბა სუდარასავით შემოეხვეოდა.

როცა დეიდა დიდო მობრუნდებოდა, ის ძლივს ადგებოდა ხოლმე და უსიტყვოდ შეუდგებოდა ჭიხის მილაგ-მოლაგებას. მას არაფერი ახსოვდა, ბავში კი ინსტინქტიური სიფრთხილის გამო ცდილობდა, რომ ბებიას ეკითხა კი არ აეღო მომხდარ ამბავზე.

სხვადასხვა თხზულებებს კითხულობდა...

მელანქოლიურმა ატმოსფერამ, რომელშიაც პატარაობიდანვე ტრიალებდა სილვერი, ზეში გამოსვლედა ძლიერი, გატაცებული ბუნება. იგი ლენჯი და გონიერი ვაჟკაცი იყო, რომელმაც დაჟინებითმეცნიერ განათლებას. სკოლაში მან შეისწავლა ცოტ არითმეტიკა და მართლწერა, მაგრამ მეთორმეტე წელს იძულებული იყო სკოლისთვის თავი დანებებია, რადგანაც საჭირო იყო რაიმე ხელობა შეესწავლა. მართალია, მას უბრალო ცოდნაც კი აკლდა, მაგრამ სამაგიეროდ სხვადასხვა თხზულებებს კითხულობდა, რაც კი ხელში მოხვდებოდა და ამნაირად მან ბევრგვარი ცოდნა შეიძინა, მაგრამ ცუდად ჰქონდა შეთვისებული და ნათლად არ ლაგდებოდა მის თავში.

ჯერ კიდევ პატარა იყო, როცა ეტლების ხელოსნობაში ვიანთან დადიოდა, რომლის სახელოსნო შესახვევის დასაწყისში იყო, მიტრას მოედნის პირდაპირ; ამ მოედანზე აგროვებდა ვიანი ხე-ტყეს. ბავში დაფეფხავდა ურმის ბორბლებზე და მძიმე ხელსაწყოებს დაათვალიერებდა ერთი ადგილიდან მეორეზე, თუმცა ძლივს სწევდა თავისი პატარა მკლავებით.



ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲡᲘᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲨᲕᲔᲚᲝᲓᲐ ᲡᲘᲚᲕᲔᲠᲘ ᲛᲣᲨᲔᲑᲡ: ᲨᲕᲔᲚᲝᲓᲐ ᲮᲘᲡ ᲙᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲯᲔᲠᲐᲡ, ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲮᲔᲚᲡᲐᲬᲧᲝᲡ ᲛᲝᲰᲥᲜᲓᲐ...

უდიდესი სიმოვნებით შველოდა სილვერი მუშებს: ჰშველიდა ხის კონების დაჯერას, საჭირო ხელსაწყო მოჰქონდა. წამოიზარდა თუ არა, შეეკითხა მიეცარა ვიანს, რომელიც მეგობრულად ეპყრობოდა მუდამ მის სახელოსნოში მოხეტიალე ბავშს. მან ბებიას გამოსთხოვა იგი და უფასოდ აიყვანა. სილვერი სიხარულით დასთანხმდა, ვინაიდან ხედავდა, რომ მალე დაუდგებოდა ის წუთი, როცა შეეძლო საცოდავი დეიდა დიდოსთვის დაებრუნებია მასზე დახარჯული ფული. სულ მოკლე ხანში სილვერი საუკეთესო მუშა შეიქნა, მაგრამ ის საშინელი პატივმოყვარე იყო: ერთხელ პლასსანში ნახა ერთი ხელოსნისაგან გაკეთებული და სანდალოზით*) შეღებილი საუცხოო ეტლი და გადასწყვიტა, როდისმე თვითონაც გაეკეთებია. ეს ეტლი მის გონებაში ხელოვნების იშვიათ ნიმუშად გადაიქცა, თავისებურ იდეალად, რომლისკენაც მიისწრაფოდა ყველა მისი წადილი. ვიანთან რომ ეტლებს აკეთებდა, ეს ალარ აკმაყოფილებდა მის ყურადღებას და სამხატვრო სკოლაში დაიწყო სიარული, სადაც მალე გაეცნო ერთს სკოლადამთავრებულ ახალგაზრდას; ამ ახალგაზრდამ მისცა სილვერს გეომეტრიის ძველი სახელმძღვანელო. სილვერი ჩაუჯდა ამ წიგნს და მთელი კვირაობით თავს იმტვრევდა უბრალო აქსიომებზე.

იგი შეიქნა იმ ნასწავლ მუშად, რომელმაც თავისი სახელის მოწერაც კი არ იცის და ალგებრის შესახებ კი მსჯელობს, როგორც ნაცნობ საგანზე.

ამგვარმა აქა-იქ ამოგლეჯილმა ცოდნამ სილვერში უფრო გაალვივა ეტლებისადმი ტაცება. მან შეიგნო ჰორიზონტი და სავნებს ისევ უყურებდა, როგორც წმი-

*) სანდალოზი—ხის წებო, სპირტში გახსნილი; სხვადასხვა ფერისაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათა წმიდას, რომელსაც ვერ შეეხებოდა. იგი ღრმა გულუბრყვილობით სცემდა თაყვანს დიდებულს აზრებს და სიტყვებს.

მეტრას ყრუ შესახვევის ქოხში პირველად მხოლოდ ერთი ოთახი იყო, რომლის კარი ქუჩაში გა მოდიოდა. აგურით მოფენილი ოთახი ერთსადაიმავე დროს სასადილოც იყო და სამზარეულოც.

ოთახის აივანეულს შეადგენდა: ჩალის სკამები, მაგიდა და ძველი სკივრი, რომელიც ადელაიდამ საკარძელად გადაკეთა და მატყლის ქსოვილი დაფინა. სახლის უკან პატარა ეზო იყო ბეთ და ოთახს უერთდებოდა.

ერთხელ პლასსანში ნახა ერთი ხელოსნისაგან გაკეთებული და სანდალოსით შეღებილი საუცხოვო ეტლი...

ტალანის მარცხნივ დეიდა დიდოს ვიწრო ოთახი იყო, რომელშიაც რკინის ტახტი და ერთი სკამი იდგა, მარჯვნივ კი, უფრო მცირე ოთახში, სილვერს ეძინა; სილვერის ოთახი ისე პატარა იყო, რომ იძულებული იყო ფიცრებისგან თროების მთელი სისტემა მოეწყო თავისი საყვარელი წიგნების დასალაგებლად, რომელიც გადარჩენილი გროშებით შეძინა. სილვერი ღამ-ღამობით კითხულობდა, ლამფას სასთუმალთან ჩამოჭიკედებდა ხოლმე ლურსმანზე. თუ ბებიას ბნედა დაემორთებოდა, ერთს წუთში მასთან იყო.

ახალგაზრდა კაცი ბავშვივით ცხოვრობდა. მთელი ქვეყანა მისთვის აქ იყო, ამ დავწყებულ კუთხეში. ამხანაგების ოხეში ხუმრობა მას სწყინდა. ის უფრო არჩევდა წაეკითხა რამე და ან თავი ემტვრია ეზარალო გეომეტრიულ თეორემებზე.

არაა გასაკვირველი, რომ სილვერის აღტაცებულ და ჩაკეტილ გონებაში რესპუბლიკანური იდეები განვითარდა. რამდენჯერმე გადაიკითხა ეს კითხულობდა. თვითეული ლატაკის ოცნებისათვის ძვირფასი სიტყვები: „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“, მას ყურში: ზარების საზეიმო გუგუნივით გაისმოდა და მზად იყო მუხლი მოეყარა მათს წინაშე. აქიტომ, როცა გაიგო, რომ საფრანგეთში რესპუბლიკა გამოცხადდა, იფიქრა, რომ ახლა კი საერთო ნეტარება დადგებოდა. შეიძინა რა ცოტაოდენი განათლება, ის სხვებზე შორს ხედავდა და თავის მისწრაფებაში მხოლოდ საარსებო პურით არა კმაყოფილდებოდა. მაგრამ ის მეტად გულუბრყვილო იყო, სრულებით არ იცნობდა ხალხს და ამიტომ მეოცნებე თეორეტიკოსი შეიქნა, რომელსაც ეგონა, რომ ედემში ცხოვრობს, სადაც საუკუნო სიმართლე მეფობს.

როცა იგრძნო, რომ ყველაფერი არაა საუცხოო ამ საუკეთესო რესპუბლიკაში, ღრმად დანაღვლიანდა და მასში სხვა ოცნება შეიქნა: გადასწყვიტა ხალხის გაბედნიერება, თუნდ ძალით; ყველაფერი, რაც კი, მისი აზრით, ხალხის წინააღმდეგ იყო მიმართული, მასში მწვავე ზიზღს იწვევდა. ბუნებით ბავშვივით კეთილი, იგი სდუღდა პოლიტიკური ზიზღით და დაიწყო ლაპარაკი იარაღის ხელში აღების საჭიროებაზე... თავისუფლება მის მისწრაფებად გადაიქცა, მოუფიქრებელ მისწრაფებად და ერთადერთ ისეთ რამედ, რასაც მთელ თავის სულს აღევდა.

სწორედ ამ დროს გადასწყვიტა სილვერის ბიძა ანტუან მაკკარმა იგი რუგონების წინააღმდეგ აემხედრებია. ანტუანს სჯეროდა, რომ ეს გოგი სილვერი მას კარგა სამსახურს გაუწევდა, თუ ანტუანი მას სათანადოდ აღიქვამდა და გაამზადებდა.

ანგარიში სწორე იყო თითქმის.

ანტუანი შეეცადა სილვერის გადაბირებას მისი იდეებით ეუსაზღვრო აღტაცებით.

თავდაპირველად კინაღამ გააფუჭა მთლად საქმე: თვით ანტუანი რესპუბლიკის გამარჯვებას უყურებდა, როგორც დღესასწაულის მაღლიან ხანას და განუსაზღვრელ გაერთიანებას, ეს კი შეურაცხყოფას აყენებდა ძმისწულის მაღალ ზნეობრივ მისწრაფებებს. ანტუანი მიხვდა, რომ შემცდარ გზაზე იდგა და ამი-

*) ენ-ეკ რუსო მე-18 ს. საფრანგეთის მწერალია, რომლის რესპუბლიკანურმა იდეებმა აღაფრთოვანა საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწენი.

ტომ მაღალ და გაურკვეველ ფრაზებს მიმართა. სილვერმა ყველა ეს მოქალაქობრივი სიქველის საკმაო დამამტკიცებელ საბუთად მიიღო.

მალე ბიძა და ძმისწული კვირაში ორჯერ და სამჯერ ნახულობდენ ერთმანეთს. დაუსრულებელი კამათის დროს, რომელშიაც საფრანგეთის ბედი სწყდებოდა, ანტუანმა დაარწმუნა სილვერი, რომ რუგონების დარბაზი, რომელშიაც პლასანელი ბურჟუა-მონარქისტები იყრიდენ თავს,—ქვეყნის კეთილდღეობის მთავარი დაბრკოლებაა.

მან გადასწყვიტა სილვერის სინაზით ესარგებლნა, რომ ადელაიდას განმარტოებასა და სიღარიბეში რუგონებისთვის დაედო ბრალი. მისი სიტყვით, თვითონ ის საუკეთესო შვილი იყო, ძმა კი უსინდისოდ იქცეოდა და გაცარცვა დედა, ახლა კი, როცა დედას ერთი გროშიც აღარ აქვს, ერიდება მას. ამ თემაზე ის უსაზღვროდ ბევრს ლაპარაკობდა.



ანტუანმა დაარწმუნა სილვერი, რომ რუგონების დარბაზი ქვეყნის კეთილდღეობის მთავარი დაბრკოლებაა.

სილვერს შესძაგდა ბიძა პიერი; თვითეულ შეხვედრაზე ერთსადაიმავე სცენას ჰქონდა ადგილი. ჩვეულებრივ სილვერი საღამოს მოდიოდა ხოლმე, როცა მაკარი სადილობდა.

— აი, ხედავ, სილვერ?—ამბობდა ის ყრუ ბოროტებით, რომელშიაც დამცინავი გულგრილობა მოსჩანდა,—ისევ კართოფილი, მუდმივ კართოფილ! სხვას არაფერს ვჭამთ. ხორცი მდიდრებისათვისაა.

სილვერი, რომელიც ოცნებით ცაში დაცურავდა, ანგარიშს არ აძლევდა თავის თავს, რომ სიქმის ნამდვილი მდგომარეობა გაეგო. იგი წყნარად წარმოსთქვამდა ხოლმე სიტყვებს, რომელიც ბიძას ააფეთქებდა:

— მაგრამ, ძია, თქვენ უნდა იმუშაოთ.

— ჰო, ჰო!—ჯავრობდა მათრახგადასული კარი,—შენ გინდა, რომ მე ვიმუშაო, არა?... ვიმუშაო იმისათვის, რომ ამ მუშაობიდან სარგებლობა ისევ დაწუველილმა მდიდრებმა ნახონ!... მე შეიძლება დღეში 20 სუ ავიღო. მაგრამ სისხლს გავიფუჭებ! არა, ჩიტი ბდღვნად არა ღირს!

— დღესაც,—ამბობდა ის,—ის სალახანა ფელიციტე წიწილებს ყიდულობდა... ისინი წიწილებს სჭამენ მოპარული ბემკვიდრეობით!

შემდეგ მაკარი პოლიტიკაზე გადაადგებდა საუბარს.

— მე მარწმუნებენ,—ამბობდა ის ხმის დადაბლებით,—რომ რუგონები ცუდ საქმეს იწყებენ.

— ცუდ საქმეს?—ეკითხებოდა ცოცხლად სილვერი.

— ჰო, ერთ-ერთ უახლოეს ღამეს მათ უნდათ ყველა საუკეთესო მოქალაქენი დაიჭირონ და ციხეში ჩასვან.

ბებუკს ჯერ ეჭვი შეჰქონდა. მაგრამ ძია წვრილმანებსაც ჩამოსთვლიდა, ამბობდა დაწყებულ სიებზე, ასახელებდა ამ სიებში შეტანილ პირებს, უთითებდა, თუ როგორ, რომელ საათზე და რა პირობებში იქნება მოყვანილი სისრულეში შეთქმულება და სილვერი დაჯერებდა ხოლმე ამ ზღაპრებს და რესპუბლიკის მტრებზე ფიქრი არ შორდებოდა.

— თუ ისინი სამშობლოს ღალატობენ,—ყ�roda ის,—ჩვენ უნდა შევუშალოთ ხელი. მერე, რას უპირებენ დატუსაღებულ მოქალაქეთ?

— რას უპირებენ?—უპასუხებდა მაკარი დამცინავი კილოთი,—ციხეში დახვრეტას.

როცა ბებუკი შეშინებული შეხედავდა ძიას და სიტყვები ვერ ეპოვა, ძია კანაგრძობდა:

— ესენი პირველნი არ იქნებიან, მათგან დაზოცილები. წადი საღამოთი სასამართლოში, შენ შემოგესმება თოფის სროლა და კვნესა.

— ოჰ, საზიზღრები!—ბუტბუტებდა სილვერი.

და ძია და დისწული პოლიტიკის სფეროში გაცურდებოდენ ხოლმე.

ფინა და ჟერვეზი, რა შეამჩნევდენ, რომ მათ კამათი დაიწყეს, შეუმჩნევლად მიდიოდენ დასაძინებლად. მამაკაცები კი შუალამემდის მსჯელობდენ პარიზიდან მოსული ცნობების შესახებ და უახლოეს მომავალში აუცილებელი ბრძოლის შესახებ.

მაკარი მეტად ძლიერ ამხელდა თავისი პარტიის წევრებს; სილვერი ხმამაღლა ოცნებობდა იდეალურ თავისუფლებაზე. მაგრამ ანტუანი ვერ ახერხებდა ახალგაზრდა რესპუბლიკანელის გადმობირბას რაიმე ბოროტი გეგმის შესასრულებლად რუგონთა წინააღმდეგ, თუმცა ძლიერ ცდილობდა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისგან მუდამ ეყურებოდა მხოლოდ მოწოდება მარადიული სიმართლისადმი, რომელიც, ადრე თუ გვიან, დასჯის ბოროტებას.

ბავში გაცეცხლებული ლაპარაკობდა რესპუბლიკის მტრების ამოძლეტაზე და იარაღის აღების აუცილებლობაზე, მაგრამ, როგორც კი ეს მტრები ოცნების ფარგლებიდან გამოდიოდენ და ძია პიერად ან სხვა ნაცნობ სახედ იქცეოდენ,—იმ წამს უკუაგდებდა სისხლის ღვრის აზრს. ეტყველია, ის შესწყვეტდა ძია მაკართან სიარულს, რომლის შურიანი სიბოროტე მას ტკივილებს აგრძნობინებდა, თუ არა სიხარულის გრძნობა, რომ თავისუფლად შეეძლო მასთან ძვირფას რესპუბლიკაზე ლაპარაკი. როცა სილვენრმა წაიკითხა, გახდა, მაკარმა მოახერხა და იგი რესპუბლიკელების საიდუმლო საზოგადოებაში მიიღებინა. ეს ძლიერი გაერთიანება იყო, რომელსაც ფესვები მთელს სამხრეთში დაედგა. ამ წუთიდან ახალგაზრდა რესპუბლიკელი თვალს არ აშორებდა ყარაბინს, რომელიც ადელაიდამ ბუხართან ჩამოკიდა. ერთხელ, ღამით, როცა ბებიას ეძინა, სილვერმა გაწმინდა თოფი, შეაკეთა, დაჭიდა ლურსმანზე და ცდა დაიწყო.

ე. ზოლა

ახალგაზრდობა.

მე მიყვარს თქვენი ცეცხლიანი თვალების ცქერა,
როგორც სიცოცხლის ფრთაგაშლილი განავარდება.
დუდუნებს მუდამ თქვენს ძარღვებში ტკბილი სიმღერა
და არ გჩვეიათ გამოხედვა დამღლელ დარდებით ..

—

თქვენ მკერდებს მუდამ შუადღისას აწვდის მზე
სუნთქვას
და აასკეცებს მის სილრმეში ჩანერგილ ძალას,
ვერ მოუღუნავს თქვენი ზურგი ცხოვრებას გულქვას,
რადგან თქვენ მკლავზე გამარჯვება გადაიღვარა...

—

საკუთარ ხელით მიაქროლებთ ცხოვრებას წინ და
დაუღალელ შრომით ძველს ბრძოლებში ნანგრევს
აშენებთ,
მამათა სიტყვა და სურვილი გიძევთ საწინდრად,
დასახულ მიზნებს ვერაფერი გზად ვერ აშინებს...

—

ვით ბობოქარი გაშლილი ზღვა, თქვენც ისე ღელავთ
და მთლად ეძლევით დაუდევარ მოვარდნილ ტალღებს.
თქვენში ნათელი სიხარულის ოცნება ელავს,
რაც გულს მგზნებარეს სიყვარულის იმედით აღსავსებს...

—

ახალგაზრდობა სიცოცხლეში არ მეორდება,
დაგროვილ ღონეს ვეღარ იგრძნობთ სხვა დროსაც ასე,
ისე არასდროს სიხალისე გულს არ მოსწყდება
და არაოდეს ბრძოლა თვის თავს არ მოგანატრებს.

—

მაშ, თუ ასეა, შეუპოვრად, სულის სიმტკიცით
იბრძოლეთ, ვიდრე წვეთი ძალა მკლავს გეკონებათ,
დაეცით მტერი, რადგან კარგად უნდა იცოდეთ,
რომ ეს ცხოვრება ბრძოლა არის, არა მონება!..

ე. პოლუმორდვინოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თედო ხომ პიონერია.

(სურათი)

თედო პიონერი იყო და კარგად ახსოვდა, რომ ყოველი პიონერი სკოლაში კარგად უნდა სწავლობდეს.

ერთხელ, როდესაც იგი სკოლიდან დაბრუნდა, დასდო წიგნები მაგიდაზე და გაკვეთილების სასწავლებლად მოემზადა.

ადგა გვიან დილით...

— თედო, სჯობს დაისვენო ცოტა და შემდეგ იმაკადინო, — უთხრა მამამ.

წინადება მიღებულ იქნა ერთხმად. საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღეს: მამამ, დედამ, თედომ და პატარა ძმამ პეტრემ, თუმცა პეტრეს გადამწყვეტი ხმის უფლება არ ჰქონდა.

ძმებმა დაიწყეს ფეხბურთის თამაში, თამაშობდნენ მხიარულად, ხალისიანად და ისეთი ხმაურით, რომ იმავე სახლის ქვედა სართულის მდგმურებმა ამოირბინეს მოთამაშეებთან და სთხოვეს:

— ნუ აპობთ შეშას დერეფანშიო.

შეშას დერეფანში არავინ აპობდა. ხმაური თედოს ფეხსაცმლებს გაჭქონდა. მიუხედავად მეზობლების თხოვნისა, ძმები მაინც დიდხანს გატაცებით თამაშობდენ.

თედომ დაივიწყა გაკვეთილები!

იმ დროს, როცა თედომ მძლავრი ხელის მოქნევით ბურთით შუშები ჩაამტვრია, საათმა სამი ჩამოჰკრა.

— ბიჭოს, ჩავლეწე შუშები! — თითქოს სიხარულით წამოიძახა გაცხარებულმა თედომ.

— პიონერები არასოდეს არ ტყუიან, — გაიხსენა თედომ და წავიდა დედასთან ჩადენილ დანაშაულში გამოსატეხად.

— დედა!

— რა გინდა?

— დედა — მე... მე... მშია — თედოს შუშების დამტვრევის შესახებ უნდოდა ეთქვა, მაგრამ არ ისება და დამალა...

ისადილეს. ნასადილევს ეზოში მოვიდა ერთი კაცი, რომელმაც აბურძგვნილი და ღრიალა დათვი მოიყვანა. აბა, როგორ შეეძლო თედოს ასეთ დროს სახლში დარჩენა.

თედომ კვლავ დაივიწყა გაკვეთილები!

თედო უნდა დასწრებოდა დათვების წარმოდგენას, რადგან მას უფასოდ შეეძლო დამტკბარიყო ამ სანახაობით. და, მართლაც, ძმებმა უფულოდ იცინეს, იცინეს... საღამოს ხუთ საათამდე.

პეტრე ისე იცინოდა, რომ უცაბედად კინალამ დაიხრჩო. წყალი დასჭირდათ მის მოსაბრუნებლად

აჩქარებული სვამს ჩაის...

როდესაც შინ დარბუნდენ, ძმებმა თავიანთ ოთახში დათვების წარმოდგენა გაიმეორეს.

პეტრე დათვი იყო. იგი დათვივით ძლიერად ბღორინებდა და კიდეც უკბინა თედოს ფეხზე, რის-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

თვისაც მაგარი სილა მიიღო ძმისაგან. შემდეგ თედომ წარმოადგინა, თუ როგორ დადის დათვი წყლის დასალევად. ერთი სიტყვით, თედო ნამდვილი დათვი იყო.

და თუმცა სწრაფად მიდის...

მაგრამ უეცრად, თამაშის ყველაზე უფრო საინტერესო დროს, შემოვიდა მამა და ჰკითხა თედოს:

— შენ როდის-და ისწავლი გაკვეთილებს?

თედო არ მოელოდა ამას; მას ძლიერ სწყინდა თამაშის მიტოვება. გაიხედა საათისკენ: უკვე შვიდის ნახევარია.

— ათ საათამდე მოვასწრებ ამოცანის გადაწყვეტას,—სთქვა მან. დაიწყო კითხვა: ,,უნდა გადატანილ იქნას სიმინდი, პური და ხილეულობა. სიმინდი 570 ფუთია, პური ორჯერ მეტია, ვიდრე სიმინდი და პური ერთად. რამდენი ურემია გადასატანად საჭირო, თუკი ვიცით, რომ თვითეულ ურემს შეუძლია 40 ფუთის გადატანა?''

— ადვილია,—სთქვა თედომ.—გადავწყვეტ ამოცანას ხუთ წამში და კიდევ მოვასწრებ თამაშს. მაგრამ რადგან თედოს თავში თამაშის მეტი არაფერი იყო, ამიტომ მან ხუთი წამის შემდეგ უთხრა მამას:

— მამა, გამოდის, რომ პური ნაკლებს იწონის, ვიდრე სიმინდი...

— შენ, ალბათ, შეგცდა რამე.

— არაფერიც არა... ჰო, მართლა, [illegible] ვად, პური ორჯერ მეტია, მე კი ვყოფდი...

ცხრის ნახევარზე თედომ განაცხადა:

— ორმოცზე არ იყოფა, ცოტა რჩება კიდევ.

— ისევ შეგცდა? აბა, მიჩვენე რვეული, ეს რა დაგიწერია? რამდენი იქნება ექვსჯერ შვიდი?

— 42.

— შენ კი დაგიწერია 48.

— ეს მე ამიტომ დამემართა, რომ იმ დროს ციფრ 8-ს ვუყურებდი წიგნში.

— მოდი და ხელახლა დაიწყე.

ათ საათზე თედო უნდა დაწოლილიყო. არ იქნა და არა 10 საათამდე ამოცანის გადაწყვეტა: დათვები დარბოდენ თედოს ტვინში და დავლურს უვლიდენ.

თედო აღელვებული დაწვა. ძილში მას ელანდებოდა, თითქოს ვიღაც აყრის თავზე სიმინდს, ხორბალს, დამპალ ხილეულობას. რამდენიმე ათეული ფუთი აცვივა თავზე თედოს. თედო იტანჯება, თედოს უნდა გაექცეს ამ გასაჭირს. ვიღაცამ ჩასძახა:

მაგრამ მაინც იგვიანებს სკოლაში და ეუბუდანიდან უკბენს, თუ რა ხდება გაკვეთილზე.

— აიკიდე ეს სიმინდი და წაიღე სადგურზე, რადგან შენ არ იცი, თუ რამდენმა ურემმა უნდა წაიღოს იგი.



როგორ მეცადინეობს მთელი ჯგუფი...

— მე ცხენი არა ვარ, მე პატარა ვარ, არ შეიძლია,—ძილშივე უპასუხებს თედო.

— ბევრს ნუ ლაპარაკობ, თორემ მე შენ გაგყოფ ორმოცად და ისე გაზიდვინებ. შენ ხომ არ იცოდი, როგორ უნდა გაგეყო ორმოცზე.

თედოს შეეშინდა და დაიწყო ზიდვა. სადგურზე მას დაუწყეს წვალება, რომ სიმინდი აეტანა რონოდებში. თედოს მეტის ატანა აღარ შეუძლია. მან გადმოჭყარა სიმინდი, დაიყვირა და გააქნია ხელები. ხელები თედოს გვერდით მწოლარე ძმას მოხვდა. პეტრემ დაიყვირა:

— მიშველე, დედავ!

უკვე გათენებულიყო. საჭირო შეიქნა ადგომა და ისევ სკოლაში წასვლა.

თედომ გაიხსენა, რომ ყოველი პიონერი კარგი მოსწავლე უნდა იყოს, მაგრამ თედომ „ი... ვერ შეასრულა პიონერის ეს მოვალეობა!..

ბიჭიკო.

პიონერი ოჯახში.

პიონერი მუშაობს ცოდნის გასავრცელებლად ოჯახში

ყოველ პიონერს უნდა ახსოვდეს **ლენინის** სიტყვები: „გამარჯვება უცოდინარი ხალხით არ შეიძლება“.

ჩვენ უნდა აღვიჭურვოთ ცოდნით, ჩვენ უნდა გვესმოდეს ჩვენი ამოცანები, უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ ვაშენოთ ახალი წყობილება. ამის განხორციელება შეიძლება მაშინ, როდესაც წერა-კითხვა ყველას კარგად ეცოდინება, ჩვენ კი ვიცით, რომ ბევრ ოჯახში ჯერ კიდევ არიან წერა-კითხვის უცოდინარნი. პიონერმა ხელი უნდა შეუწყოს ოჯახის წევრებში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას მით, რომ მონაწილეობა უნდა მიაღებინოს მისი ოჯახის წერა-კითხვის უცოდინარ პირებს წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლების მუშაობაში.

პიონერს შეუძლია თავისი ოჯახის წევრებს წაუკითხოს ჟურნალ-გაზეთები, გააცნოს დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა; აგრეთვე მას შეუძლია წაუკითხოს ისეთი წიგნები, რომელიც გვასწავლის ჩვენი მეურნეობის გაუმჯობესებას.

ჩვენ სოფლებში, თუ ყოველგან არა, უმეტეს შემთხვევაში მაინც, არის სამკითხველოები. პიონერმა უნდა შეაყაროს თავის მშობლებს სამკითხველო, უნდა მიიღწიოს იმას, რომ მისმა მშობლებმა მიიღონ მონაწილეობა სამკითხველოს მუშაობაში და გამოიწერონ ჟურნალ-გაზეთები. მაგალითად, გამოდის გაზეთი „ახალი სოფელი“. საჭიროა პიონერებმა გაავრცელონ ეს გაზეთი თავისი ოჯახის წევრებში. პიონერებმა უნდა ჩაბაან თავიანთი მშობლები სკოლების, სახალხო სახლების, სამკითხველოების აღმშენებლობითს მუშაობაში.

პიონერები იბრძვიან ძველ ჩვეულებათა და ცრუმორწმუნეობათა წინააღმდეგ.

ვინ ჩამოთვლის, რამდენი ცრუმორწმუნეობაა ჯერ კიდევ გავრცელებული ხალხში და კერძოდ ოჯახებში! ჯერ კიდევ ბევრს სწამს ავი სულები, მარჩიელები, სასწაულები და, ვინ მოსთვლის, რამდენი სხვა ცრუმორწმუნეობა. ამ ცრუმორწმუნეობათა გავრცელებას ძველი წესწყობილება ძალიან უწყობდა ხელს, რადგან ამით მშრომელ ხალხს იმონავდნ და სიბნელეში აყოფდნენ. რამდენადაც განუვითარებელია ესა თუ ის ხალხი, იმდენად უფრო მისდევს ცრუმორწმუნეობას. ამიტომ იყო, რომ ძველი წყობილება ნაკლებ ყურადღებას აქცევდა მშრომელი ხალხის გათვითცნობიერებას.

ჩვენი მიზანია ხალხში შევიტანოთ კულტურა, ავუხსნათ ესა თუ ის მოვლენები და ამით ნიადაგი გამოვიცალოთ ყოველგვარ ცრუმორწმუნეობას. პიონერმა უნდა აუხსნას თავისი ოჯ.ხის წევრებს, რომ არავითარი სასწაული არ არსებობდა და არც არსებობს. თუ წინეთ ხალხს სწამდა სასწაულები, ეს იმიტომ, რომ არ იცოდა ბუნების ამათუ იმ მოვლენების მიზეზები, დღეს კი, როდესაც ადამიანი ზეადმოწევნით ხსნის ბუნების ამა თუ იმ მოვლენებს, მისთვის არავითარი სასწაული არ არსებობს. ასევე ითქმის აგ სულებზე, მარჩიელებზე და სხვა ცრუმორწმუნეობებზე. არის აგრეთვე სხვა სახის ცრუმორწმუნეობანი, რომელნიც ინადგურებენ გლეხის და მუშის ოჯახებს. ეს არის სხვადასხვა ჩვეულებანი. ავიღოთ, მაგალითად, რელიგიური ჩვეულებანი, საეკლესიო დღესასწაულები. ასეთების მოახლოვების დროს ყველა ოჯახები ემზადებიან. დაიწყება ერთი ფაციფუცი. ღარბი ოჯახები ზშირად სესხულობენ ფულს და ისე იხდიან ამ დღესასწაულებს, შემდეგ კი ვალის გადახდის დროს ნადგურდებიან. კარგია ეს? ვერავინ იტყვის, რომ კარგი. რათ ხდება ასე? იმიტომ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ შეუგნებელი ვართ. რა მოაქვს ასეთი დღესასწაულების ჩატარების? უბედურების მეტი არაფერი. ერთი რომ ოჯახი ნადგურდება ეკონომიურად, მეორე — ღვინისგან და არაყისგან გონებადაკარგულნი ზშირად დაერევიან ერთი-მეორეს და ჟლეტენ.

ეს ყველა ახასიათებდა ძველ ცხოვრებას, ახალ ცხოვრებაში კი ამისი ნატამალიც არ უნდა იქნეს.

ყოველმა პიონერმა უნდა აუხსნას თავის მშობლებს, რომ ასეთ დღესასწაულებს უბედურებისა გარეშე არაფერი მოაქეს. ჩვენ სრულიად ... ტი პიონერებს, რომ თავიანთი ოჯახებში „აკრძალონ“ ყოველგვარი გასართობი. არა, ჩვენ მხოლოდ ვასწავლით იმათ, რომ იბრძოლონ იმ მახინჯი მოვლენების წინააღმდეგ, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს ცხოვრებაში. განა სხვა გზით არ შეიძლება გართობა, განა ცოტაა მუშათა კლუბები, სახალხო სახლები, სადაც მშრომელები იკმაყოფილებენ თავიანთ სულიერ მოთხოვნილებებს? ასეთები ბევრი არის და პიონერმაც ამ მიმართულებით უნდა აწარმოოს პროპაგანდა.

ჩვენ გვაქვს რევოლუციონური დღესასწაულები, რომლის წლისთავს ჩვენ ზეიმით ვიხდით. მაგრამ ეს ზეიმი სრულიად არ ჰგავს იმ „ზეიმს“, რომელიც არის საეკლესიო დღესასწაულებზე. ჩვენი რევოლუციონური დღესასწაულების წლისთავზე ჩვენ ვისვენთ მოხსენებებს, საუბრებს ამ დღესასწაულების მნიშვნელობის შესახებ. ჩვენ მონაწილეობას ვღებულობთ მშრომელთ მიერ გამართულ დემონსტრაციებში, საღამოებში, მივდივართ წარმოდგენებზე მუშათა კლუბებში და სახალხო სახლებში, აღვნიშნავთ ჩვენს მიხეევებს, ნაკლს, აღვნიშნავთ მუშების და ღარიბი გლეხობის ბრძოლის ისტორიას, ვამჟღერებთ რიგებს და ვისახავთ მომავალ ამოცანებს. აი ნამდვილი ზეიმი მშრომელი ხალხის. ჩვენ უნდა ვეცადოთ ძველი დღესასწაულები შევცვალოთ რევოლუციონური დღესასწაულებით. ამისკენ უნდა მიიღტოდეს ყოველი პიონერი.

პიონერი თავის მშობლებს იზიდავს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში.

მაგრამ არ კმარა, რომ ჩვენი მუშაობით დავაინტერესოთ მშობლები სიტყვიერად. საჭიროა ისინი დავაინტერესოთ საქმით, რომ მათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ახალი ცხოვრების აღშენებლობაში. ყოველი პიონერი უნდა ცდილობდეს, რომ მისი მშობლები გახდენ წევრები სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, როგორიცაა: რემედასი, წერაკუსი, საპაერო ფლოტი და სხვ.

ჩვენ ვიცით, თუ როგორ მნიშვნელობას აძლევდა **ლენინი** კოოპერაციას. პიონერის მოვალეობაა აწარმოოს მშობლებში აგიტაცია, რომ ისინი გახდენ კოოპერაციის წევრები. არის აგრეთვე სხვადასხვა საქმეთა, რომელსაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. პიონერი უნდა ეცადოს, რომ როგორც თვითონ, ისე მისმა მშობლებმაც მიიღონ მონაწილეობა ამ საქმეთაში. პიონერებმა უნდა აუხსნან თავის მშობლებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს კოლექტიურ შრომას.

ჩვენ ვატარებთ სხვადასხვა პოლიტიკურ კამპანიებს. პიონერმა წინასწარ უნდა აუხსნას თავისი ოჯახის წევრებს ამა თუ იმ კამპანიის მნიშვნელობა და მიიღებინოს მათ მონაწილეობა ამ კამპანიების ჩატარებაში; პიონერი უნდა უხსნიდეს აგრეთვე თავის მშობლებს საბჭოების, ახალი სკოლის და სხვა ორგანიზაციების მნიშვნელობას.

როგორ უნდა იმუშაოს მთელმა კოლექტივმა ოჯახში.

ჩვენ ზევით ვლაპარაკობდით, თუ როგორი მუშაობა უნდა აწარმოოს პიონერმა ოჯახში. ეხლა საჭიროა განსაზღვრა, თუ როგორი მუშაობა უნდა აწარმოოს მთელმა კოლექტივმა. პიონერ-კოლექტივის მუშაობას უნდა იცნობდენ მშობლები. მათ უნდა იცოდენ, თუ როგორ იზრდებიან მათი შვილები. რომ კოლექტივის მუშაობას დავუახლოოთ მშობლები, ამისთვის კოლექტივი სალამოებს უნდა მართავდეს; სალამოებს არ უნდა ჰქონდეს შეძთხვევითი ხასიათი და სისტემატიურად უნდა იმართებოდეს. ამ სალამოებზე პიონერებმა თავისი ნამუშევრის გამოფენა უნდა მოაწყონ.

კოლექტივმა უნდა მოაწყოს აგრეთვე მშობლების კრებები, სადაც წაკითხული იქნება მოხსენებები ან საუბრები ბავშვების აღზდის, ჰიგიენა-სანიტარიის და სხვა საკითხების შესახებ. როდესაც ტარდება რაიმე დღესასწაულები, პიონერები უნდა იპატიჟებდენ თავიანთ მშობლებს, დებს და ძმებს. პიონერ-კოლექტივის კედლის გაზეთში უნდა შექდებოდეს ოჯახში მუშაობა.

იყავ ბეჯითი და აასრულე დავალებანი.

პიონერი ყველა თავის ამოცანებს ოჯახში აასრულებს მაშინ, როდესაც ის იქნება ბეჯითი, როდესაც ის ისე გაანაწილებს თავის დროს, რომ შესძლებს მშობლების დახმარებასაც და საზოგადო საქმის კეთებასაც. მაშინ არც ერთი მშობელი არ იქნება პიონერის უკმაყოფილო, და პიონერიც შესძლებს თავისი ამოცანების შესრულებას.

რომ ამოცანები შეასრულო, უნდა იცოდე, თუ როგორ უნდა მიუდგე ამათუ იმ საკითხის გადაწყვეტას, უნდა გქონდეს შესწავლილი და გესმოდეს ეს საკითხები, ამისთვის კი უნდა ისწავლო.

ყველა ზემოჩამოთვლილ საკითხებს შენ გასწავლიან სკოლაში, პიონერთა კოლექტივში. ისწავლე, შეიძინე ცოდნა, აასრულე შენი კანონები და დავალებანი—და ნამდვილი პიონერი გახდები.

ნოვინ.



როგორ მუშაობს პიონერი ოჯახში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობა სოფლად

სასკოლო კლუბი.

თვითეულ საბჭოთა სკოლასთან უნდა არსებობდეს კლუბი. პიონერებმა, რომლებიც სკოლაში სწავლობენ, უნდა შესძლონ ფორპოსტის საშუალებით კლუბის დაარსება და მოწესრიგება.

მაგრამ როგორ მოვაწყოთ ეს? უპირველეს ყოვლისა, ფორპოსმა უნდა იზრუნოს, რომ სასკოლო საბჭომ მისცეს ოთახი და სხვა საჭირო საშუალებანი, ამის შემდეგ საკლუბო კომისიამ, რომელსაც გამოჰყოფს თვითმართველობა, უნდა შეიმუშაოს კლუბის მოწყობის გეგმა და იმის მიხედვით იმუშაოს. კლუბში ყველაფერი თავის რიგზე უნდა იყოს. ცუდია ის კლუბი, რომელშიაც უსუფთაობაა, არაა წესრიგი და სიწყნარე. ასეთი კლუბი ვერ მიაღწევს თავის მიზანს.

როგორ მოვაწყოთ კლუბი?

კლუბი უნდა იყოს ისეთი ადგილი, სადაც უნდა ატარებდენ მოსწავლეები თავისუფალ დროს. კლუბის საშუალებით პიონერებმა სკოლაში უნდა გაავრცელონ კომუნისტური გაგლენა შეუკავშირებელ ბავშვებზე, რათა შემდეგ ისინი თავიანთ ორგანიზაციაში ჩაბან. კლუბი არის ფორპოსტის დასაყრდენი სკოლაში.

როგორ უნდა იყოს მოწყობილი კლუბი?

კლუბს დაფაზე უნდა გამოკიდებულ იქნას უკანასკნელი ახალი ამბები და ცნობები. საჭიროა ამისი მეტად გარკვევით და ნათლად გაკეთება, რომ ყველა გამვლელი მოსწავლეების ყურადღება მიიქციოს. დაფის მახლობლად უნდა იყოს ყუთი კედლის გაზეთში შენიშვნებისათვის და თვითმართველობაში და ფორპოსტში შესატანი განცხადებისათვის. ოთახის შუა ადგილზე უნდა იყოს წიგნების დიდი მაგიდა გაზეთების საკითხავად, ირგვლივ სკამებით. ერთ-ერთ კედელთან კი კარადა წიგნებისათვის. დანარჩენ კედლებზე უნდა იყოს გაკრული ლოზუნგები, რევოლუციის ბელადების სურათები, აბრები მიმდინარე პოლიტიკური კამპანიებისათვის და კედლის გაზეთი. აუცილებელია აგრეთვე ერთი ან ორი ჩასაფურთხებელი და ყუთი ნაგვისათვის.

სკოლაში კლუბის და კუთხეების მოწყობაში ჩაბმული უნდა იქნან მასწავლებლებიც, რომლებსაც შეუძლიათ დეხმარონ პიონერებს და მოსწავლეებს ამ საქმეში თავისი რჩევით.

კლუბთან არსებობა წრეები—პოლიტიკური, სიმღერის, დრამატიული, სხვადასხვა ხელობის შესწავლის და სხვ. წრეებში მეცადინეობა ხდება სკალუბო დღეს, მასწავლებლების ხელმძღვანელობით.

კლუბს აქვს რამოდენიმე კუთხე, როგორიცაა მაგ. ლენინის, პიონერთა, ფიზკულტურის, „ბავშთა მეგობრობის", „რემედასის", „ავიოქიმის" და სხვ.

ლენინის კუთხე არსდება იმისათვის, რომ მუდამ ახსოვდესთ მოსწავლეებს, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ილიჩს მუშებისათვის, ახსოვდესთ მისი ანდერძი და როგორ უნდა შეკასრულოთ ჩვენ ის—სკოლაში, სახლში, ქარხანა-ფაბრიკაში, კოლექტივში. ამ კუთხეში გროვდება ლენინის სურათები, ნახატები, წიგნები მის შესახებ, ლოზუნგები, მისი სიტყვები, ამონაკრები გაზეთებიდან, კედლის გაზეთები, რომლებიც მიძღვნილი ჰქონდა ლენინს, ლექსები და წერილები, რომლებიც თვით ბავშების მიერ არის დაწერილი. კუთხეს ყოველთვის ემატება მასალები მოწაფეთა მიერ ლენინის ანდერძის შესრულების შესახებ, ახლად გამოსული წიგნები და სხვ.

რემედასის კუთხე. მასში მუშადება დასავლეთის ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ცხოვრება და ბრძოლა. აქ თავსდება მოწოდებები მათი დახმარების შესახებ. აქვე თავსდება დიაგრამები იმ დახმარების რაოდენობის შესახებ, რომელიც აღმოუჩინეს რემედასს პიონერებმა და მოსწავლეებმა.

პიონერის კუთხე. დიდი მნიშვნელობა აქვს პიონერის კუთხეს. მან უნდა გვიჩვენოს, როგორ არის მოწყობილი ნორჩ პიონერთა ორგანიზაცია, გაგვაცნოს მისი ისტორია, გაგვაცნოს, რას აკეთებენ პიონერები კოლექტივში, განგვიმარტოს პიონერთა მოძრაობის მიზნები და ამოცანები, კავშირი ახალგაზრდათა ლენინურ კომკავშირთან და კომუნისტურ პარტიასთან. კუთხე მოწყობილ უნდა იქნას ყველა-

ზე თვალსაჩინო ადგილზე. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ მოსწავლეთა უმეტესობა ჯერ კიდევ აქამდე იმიტომ არ შემოდის ჩვენს ორგანიზაციაში, რომ არ იციან, თუ როგორ ვმუშაობთ. კუთხეში მასალები უნდა იყოს სხვადასხვაგვარი, რომელიც დაგვისურათებს პიონერთა ყოფა-ცხოვრებას კუთხეში უნდა იქნეს გამოქვეყნებული ყველა ახალი ცნობები პიონერთა შესახებ, სურათები, წიგნები და ფოტოპოსტხე მიმაგრებული კოლექტივის ნამუშევარის ნიმუშები.

ფიზკულტურის კუთხესაც არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს. მის ამოცანებში შედის ყოველდღიური პროპაგანდა პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენის წესებისა, ჯანმრთელობის დაცვისა და განმტკიცებისა და სხვა. ამ კუთხის დახმარებით პიონერები სასკოლო ექიმთან ერთად ნათლად მიგვითითებენ სკოლაში და შინ სიწმინდის აუცილებელ დაცვაზე, დროს მიზანშეწონილ განაწილებაზე, ყოველდღიურ ფიზიკურ ვარჯიშობათა განრიგებაზე და სხვ.

„ავიაქიმის“ და „ბავშთა მეგობრების“ კუთხეებს თავის ამოცანად აქვთ მოსწავლეთა ჩაწერა ამ საზოგადოებათა წევრობად. ეს კუთხეები ირთვება შესაფერისი აბრებით, როგორც ნაბეჭდით, ისე თვით ბავშთა მიერ დახატულებით.

ბიბლიოთეკა — სამკითხველო. აუცილებელია მოლაპარაკება სასკოლო საბჭოსთან, რომ მან სამკითხველო-ბიბლიოთეკა გადასცეს კლუბს და შეავსოს ის პიონერთა ლიტერატურით. საჭიროა ზრუნვა გაზეთების გამოსაწერად და ცნობათა კუთხის მოსაწყობად.

ეს უკანასკნელი მოთავსებული უნდა იქნას გეოგრაფიული რუქის მახლობლად, ფართე დაფაზე.

ამ კუთხეში უნდა თავსდებოდეს გაზეთებიდან და ჟურნალებიდან ამონაბერი უკანასკნელი ცნობები, დებეშები, წერილები და სხვ. ყველა დაძველებული ამონაბერები კი არ უნდა იქნას გადაყრილი, არამედ სისტემატურად უნდა შეიკრას განსაკუთრებულ რვეულში, რომელიც იქვე უნდა იყოს დაკიდებული.

აქვე უნდა მოთავსდეს წიგნების ბიბლიოგრაფია, წასაკითხავი წიგნების სია, ლოზუნგები და სიტყვები.

კლუბის მართველობა. გამგებლობის [illegible] ში სდგას გამგეობა, ხუთი ან შვიდი კაცისგან შედგარი. ყოველი ჯგუფი ირჩევს თითო წარმომადგენელს. გამგეობას ირჩევენ სამი თვის ვადით. გამგეობა გამოჰყოფს ერთ წევრს კლუბის გამგედ. გამგეობასთან არსებობს კომისიები: სამეურნეო, საბიბლიოთეკო და პოლიტ-განათლების. თვითეული კომისია შესდგება 3-5 წევრისაგან, თვითეული მათგანის სათავეში სდგას კლუბის გამგეობის წევრი.

სამეურნეო კომისიის ვალდებულებაა თვალყური ადევნოს და აწარმოოს კლუბის მთელი სამეურნეო ანგარიში.

საბიბლიოთეკო კომისია ზრუნავს ახალი წიგნების შეძენაზე, მათ მიღებაზე და გაცემაზე.

პოლიტ-განათლების კომისია თვალყურს ადევნებს წრეების წესიერ მუშაობას, წევრების დასწრებას, აწყობს მოწაფეთათვის ლექციებს და სხვ.

კლუბში წესიერების და სისუფთავის დასაცავად შემოღებულია მორიგეობა. ყოველ კვირაში მორიგეობს თვითეული ჯგუფი, რომელიც ამისათვის ყოველდღე გამოჰყოფს 2-3 კაცს. მორიგეობისათვის კომისიის წინაშე პასუხისმგებელია მამასახლისი. კლუბი ღიაა დიდი დასვენების დროს და მეცადინეობის შემდეგ ორი საათის განმავლობაში.

საკლუბო კომისია თავისი მუშაობის შესახებ ანგარიშს უდგენს თვითმართველობას და მოწაფეთა საერთო კრებას.

აი, როგორ უნდა იქნას მოწყობილი კლუბი რომელ სკოლაშიაც ის ჯერ კიდევ არ არსებობს, უეჭველად უნდა იქნას მიღებული ზომები მის დასაარსებლად და სათანადო დონეზე დასაყენებლად..

კლუბი უნდა იყოს სკოლაზე და სახლზე უფრო მიმზიდველი, რომ მას ბავშვები თავისად სთვლიდეს, რომ სიხარულით მიდიოდენ იქ სამუშაოდ, შეეძლოსთ იქ დასვენება, თამაშობა. განსაკუთრებით საჭიროა კლუბი ზამთარში. მაშინ ხომ, უმეტეს შემთხვევაში, შეუძლებელია გარეთ დროს გატარება.

ამრიგად, კლუბი უნდა იყოს თავისებური ცენტრი საზოგადოებრივი მუშაობისა, ბავშვების დამრაზმელი თავის ირგვლივ. კლუბმა უნდა ჩაბას მუშაობაში შეუკავშირებელი ბავშვებიც, მოწაფეთა მთელი მასა.

შანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ყოთელი ჯარის მოგვავალი მეთაურეგი.

1924 წლის ოქტომბერში ლენინის უბნიდან (ტფილისი, 1 რაიონი) გაგზავნილ იქნა ა. ლ. კ. ცეკას მიერ პირველი ჯგუფი, ოცდაათი პიონერისაგან შემდგარი, ქ. ბაქოში, ამხ ს. ორჯონიკიძის სახელობის სამხედრო მოსამზადებელ კურსებზე. თვით ამ სკოლის მნიშვნელობა დიდია, ვინაიდან აქ იზრდებიან მომავალი მებრძოლნი, სამხედრო საქმის მოავალი მცოდნენი. პირველად, სანამ მშობლები არ იცნობდენ სკოლის პირობებს და პროგრამას, პიონერების გაგზავნა ძალიან ძნელდებოდა, მაგრამ როდესაც გაგზავნილ იქნა პირველი ჯგუფი, მის შემდეგ ბავშვების მშობლები და მასთან მოსახლეობა ფართოდ ეცნობა სკოლის მნიშვნელობას შვეგბულებაში დაბრუნებული კურსანტების მეოხებით. დღეს ამ სკოლის მნიშვნელობა უკვე შეიგნო მცხოვრებთა ნაწილმა; ამიტომ საჭიროა, რომ ამ სკოლას უფრო ფართოდ გაეცნოს მთელი მოსახლეობა:

იქ დღეს თავმოყრილი არიან პიონერები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან (სვანეთიდან, აფხაზეთიდან და სხვა ადგილებიდან) განსაკუთრებით კარგად იცნობს ამ სკოლას ლენინის უბნის (ნაძალადევი) მუშა მოსახლეობა; თითქმის 70% სკოლის კურსანტებისა ამ უბნიდან გაგზავნილი პიონერებია.

ამ სკოლის არსებობით დიდად კმაყოფილია მოსახლეობა.

იქ გაგზავნილი პიონერები არ უნდა დაივიწყოს პიონერ-ორგანიზაციამ, რომლის წყალობითაც არიან ისინი მივლინებული იქ, ამიტომ საჭიროა დაეჭიროთ მჭიდრო წერილობითი კავშირი, განსაკუთრებით იმ კოლექტივებმა, საიდანაც ისინი არიან გაგზავნილი და აგრეთვე უნდა გავგზავნოთ ქართული ჟურნალ-გაზეთები, ვინაიდან ამას ისინი ძალიან საჭიროებენ.

გ. აბესაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ არის მოწყობილი ქვეყნიერება.

ძვირად მოიპოვება ისეთი ადამიანი, რომელსაც ერთხელ მაინც არ მიეცეს თავისი თავისთვის კითხვა, თუ როგორ არის მოწყობილი ქვეყნიერება, საიდან წარმოიშვა იგი და რანაირი ბოლო მოელის მას.

როგორ წარმოიშვა და განვითარდა სიცოცხლე დედამიწაზე?

მრავალი საუკუნეების განმავლობაში სტანჯავდა ადამიანს ეს კითხვები. ბევრ სხვადასხვა ახსნა-განმარტებას იძლეოდა ამ საკითხებზე მეცნიერება კაცობრიობის ცხოვრების სხვადასხვა ეპოქაში.

დიდი ხნის განმავლობაში ხალხი ფიქრობდა, რომ დედამიწა ფიცარივით სწორი ფართე ადგილია და ზევიდან გუმბათივით ახურავს ცა. ცაზე მიმაგრებულია ვარსკვლავები და მზე. მზე უელის ირგვლივ დედამიწას და თან მიაქვს ვარსკვლავებიც.

ნიკოლოზ კოპერნიკი.

მაგრამ ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში, 2000 წლის წინეთ, ეს აზრი უკუგდებულ იქნა მეცნიერების მიერ. იმ დროის მეცნიერები ფიქრობდენ, რომ დედამიწა მრგვალია ბურთივით და ვარსკვლავები და მზეც უზარმაზარ რგვალ ბურთებს წარმოადგენენ, რომლებიც დედამიწას გარს უვლიანო. ბოლოს საბერძნეთის ფილოსოფოსმა ერატოსფენმა გამოთქვა ის აზრი, რომ მზე და ვარსკვლავები კი არ უვლიან გარს დედამიწას, არამედ დედამიწა უვლის მზეს ირგვლივო. მაგრამ საბერძნეთის დიდებული ფილოსოფოსის აზრს არავინ არ იზიარებდა მაშინ. მხოლოდ 1600 წლის შემდეგ მიიღეს ეს აზრი მეცნიერებმა.

პირველად ეს აზრი, რომ დედამიწა უვლის გარს მზეს, პოლონელმა მეცნიერმა ნ. კოპერნიკმა დაასაბუთა.

კოპერნიკის მიმდევრებს სდევნიდენ ამ აზრის გავრცელებისათვის, ზოგს კიდეც სწვავდენ კოცონზე. მაგრამ სინამდვილეს არ ეშინია დევნის და გაიმარჯვა კიდევაც.

ახლა ის, რომ მიწა ბურთივით მრგვალია, რომ ის უტრიალებს გარს მზეს, ყოველმა მოწაფემ იცის.

ყველასათვის ცხადია, რომ მზე, ვარსკვლავები და მთვარე უზარმაზარი მრგვალი ბურთებია და ბევრი მათგანი ბევრად უფრო დიდია დედამიწაზე.

დედამიწა გარს უვლის მზეს. დედამიწის გარდა მზეს გარს უვლის კიდევ ცის შვიდი მნათობი. ეს მნათობები ცდომილი ვარსკვლავებია, პლანეტებია.

რაღა არის მზე?

მზე გახურებულ ბურთს წარმოადგენს, რომელიც 110-ჯერ დიდია დედამიწაზე. თვითონ მზის ნივთიერება, მასა, 300 ათასჯერ აღემატება დედამიწის მასას, ე. ი. მზისაგან გამოვიდოდა 300 ათასი ისეთი ბურთი, როგორიც დედამიწაა.

მაგრამ მზე ჩვენ პატარა წრედ გვეჩვენება, რადგანაც ძალიან შორს ვართ მისგან.

მზესა და დედამიწას შუა 150 მილიონი კილომეტრი მანძილია. ადამიანს რომ შეეძლოს უსწრაფესი აეროპლანით გაფრენა (400 კილომეტრი საათში) მზემდის მისვლას 44 წელიწადს მოუნდებოდა, დედამიწის ირგვლივ კი ამნაირი აეროპლანით 10 დღეში შეიძლება შემოვლა.

მიუხედავად მანძილის სიდიდისა, ადამიანებმა მაინც შესძლეს მზის განხილვა და შესწავლა. ყველაზე უწინარეს მეცნიერებმა აალაპარაკეს მზის სხივები. ყოველი მხურვალე საგანი გამოსცემს სხივებს. თუ ამ სხივებს გავატარებთ განსაკუთრებულ ხელსაწყოში, სპექტროსკოპში, სხივები გამოჩნდებიან სხვადასხვა განსაკუთრებული ფერის ხაზებად. იმის მიხედვით, თუ როგორი ხაზია, შეიძლება გამოიცნოთ, თუ როგორი სხეულისაგან არის იგი გამოცემული. მაშასადამე, შეიძლება თვით საგანი არ გვქონდეს ნახული, მაგრამ სპექტროსკოპით დავიჭიროთ მისი სხივები, ვნახოთ, რა ხაზებად დანაწილდა იგი და გავიგოთ, თუ რა სხეულისაგან წარმოსდგა.

ბევრჯერ იქნა მზის სხივები სპექტროსკოპის საშუალებით შესწავლილი და აღმოჩნდა, რომ მზე შესდგება ისეთისავე ნივთიერებისაგან, როგორიც დედამიწაა. მართალია, დიდი ხნის განმავლობაში სპექტროსკოპში გამოჩენილ მზის სხივებში ნახულობდენ ისეთი სხეულის ხაზს, რომლის მსგავსს დედამიწაზე ვერ პოულობდენ. ამ

ცის სურათის გადასაღები ორმაგი ბოგრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხეულს დაარქვეს ჰელიი, ე. ი. მზის სხეული. მაგრამ ამ რამდენიმე წლის წინეთ ჰელიი დედამიწაზედაც იპოვეს.

ასე რომ მზე შესდგება იმავე ნივთიერებისაგან, რისაგანაც დედამიწა, მხოლოდ ეს ნივთიერებანი მზეზე გავარვარებულ ორთქლად არიან ქცეულნი.

მზის, ხოგიერთი პლანეტის და მიწის შედარებითი სიდიდე. ყველაზე დიდი ბურთი მზეს წარმოადგენს.

„იქ ქვები როგორც წყალი სდუღს“, “იქ ცეცხლის ურიცხვი კოცონია“. იქ ტემპერატურა მზის გარეშო ფენებში 8000°, შიგნით კი კიდევ მეტი.

ამ გავარვარებულ ცეცხლის ოკეანეს ზედაპირიდან ადის 300000—400000 კილომეტრის სიმაღლეზე გავარვარებული ცეცხლის აირის სვეტები, რომლებიც ცოდვება უჩაერო გაყინულ სივრცეში და ლითონის წვიმად ქცეული აცვივა ხელახლა მზეს და ხელახლა იქცევა ცეცხლის აირად.

ამ უზარმაზარ ანთებულ სხეულს გარს უვლის ჩვენი დედამიწა და კიდევ 7 ცოტამეტი (პლანეტა). ყველა პლანეტები ჩვენს დედამიწასავით ბნელი სხეულებია, მაგრამ ჩვენ მათ ვხედავთ ცაზე როგორც ნათელ სხეულებს. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ ვხედავთ მათ მიერ ანარეკლ მზის სინათლეს.

ყველაზე უფრო ახლოს მზესთან არის პლანეტა **ოტარიდი** (მერკური)—58 მილ. კილომეტრის მანძილზე. ის ჩვენ **დედამიწაზე** ბევრად უფრო პატარაა და მზეს უვლის ირგვლივ 88 დღის განმავლობაში. შემდეგ, 100 მილ. კილომეტრის მანძილზე, არის პლანეტა **ასპიროზი** (ვენერა). ასპიროზი სიდიდით თითქმის დედამიწას უდრის, მზეს გარშემო უვლის 225 დღედღიამის განმავლობაში. ორიე პლანეტის ზედაპირი მუდამ დაფარულია ღრუბლებით და ამიტომ იმათ შესახებ ცოტა რამ ვიცით. შემდეგ, 150 მილ. კილომეტ. მანძილის სიშორეზე, მზეს გარშემო უვლის ჩვენი **დედამიწა**. დედამიწის შემდეგ მზის უახლოესი პლანეტა არის **მარიხი** (მარსი). მარიხი უვლის მზეს თითქმის ორი წლის განმავლობაში. დაშორებულია მისგან 200 მილ. კილომეტრის მანძილით. მარიხი ყველა პლანეტებზე უფრო საფუძვლიანად არის შესწავლილი. მარიხი ყველაზე უფრო ჰგავს ჩვენს დედამიწას. ჩვენმა მკითხველებმა იციან მის შესახებ (წერილი „პლანეტა მარიხი“ იხ. პიონერი № 3.). 700 მილ. კილომეტ. მანძილზე მზიდან იმყოფება **იუპიტერი**. იუპიტერი მზეს უვლის 11 წლის განმავლობაში. ის ყველა პლანეტაზე უდიდესია, თითქმის 300 ჯერ უდიდესია ჩვენს დედამიწაზე. ირგვლივ სქელი ატმოსფერა (ორთქლის მაგვარი ნივთიერება) აბავია. მისი გულიდან ხშირად ამოხეთქს ხოლმე წიაღვარი და ჭქმნის ცეცხლოვან ტბებს, ჩვენ დედამიწაზე უფრო დიდრონებს. შემდეგ არის პლანეტა **სატურნი**. სატურნი 1350 მილ. კილომეტრით არის მზისგან დაშორებული და უვლის მზეს გარს 24½ წლის განმავლობაში. სატურნის ირგვლივ ტრიალებს ეგრეთწოდებული სატურნის სარტყლები. სუსტ ასტრონომიულ ბოგრშიც კი მოსჩანს სამი სარტყელი, რომელიც ირგვლივ არტყია ამ პლანეტას. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ეს სარტყლები შესდგება პატარ-პატარა სხეულებისაგან და მოძრაობის დროს ადამიანს ისინი გაერთიანებულ სარტყლებად ეჩვენება. კიდევ უფრო შორს, 2700 მილ. კილომეტრის სიშორეზე, იმყოფება პლანეტა **ურანი**. ის უვლის მზეს ირგვლივ 84 წლის განმავლობაში. ბოლოს, 4200 მილ. კილომეტრის მანძილზე, არის პლანეტა **ნეპტუნი**. ნეპტუნი მზეს გარს უვლის 164½ წლის განმავლობაში.

მარსსა და იუპიტერს შუა დაძრწის 1000-მდე პაწია ცოთმილი, ასტეროიდებად წოდებულნი. ჩვენი დედამიწის ირგვლივ ტრიალებს მიწის თანამგზავრი **მთვარე**. ამნაირი თანამგზავრი მთვარეები დაჰყვებიან სხვა დიდ პლანეტებსაც, გარდა ასპიროზისა და ოტარიდისა. ნეპტუნს — 1, მარიხს — 2, ურანს — 4, იუპიტერს — 9, სატურნს — 10.

მზესა და მის ირგვლივ მსვლელ პლანეტებს მიწის მეცნიერები **მზის სისტემას** ეძახიან.

ძალაუნებურად იბადება საკითხი, რატომ უვლიან მზეს ირგვლივ პლანეტები და რატომ უვლიან პლანეტებს

ნიუტონი.

ირგვლივ მათი თანამგზავრნი. რატომ არის, რომ ეს უზარმაზარი სხეულები არ იფანტება სხვადასხვა მხარეს?

ამ კითხვებზე პასუხი მისცა კაცობრიობას დიდებულმა ინგლისელმა მეცნიერმა **ისაააკ ნიუტონმა** (დაიბადა 1643 წ., გადაიცვალა 1727 წ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავამოძრაოთ რამე საგანი (ბურთი, ქვა და სხ.) ეს საგანი ბოლოსდაბოლოს გაჩერდება, თუ ხელახლა არ აამოძრავე — რამე შეაჩერებს მას: ან მიწაზე ხახუნი, ან ჰაერის წინააღმდეგობა, ან სხვა რამ მიზეზი. მავრამ მას რომ არავითარი დაბრკოლება არ გადაღობებოდა წინ და

იუპიტერი და მისი თანამგზავრნი.

რომ არ გაეწია წინააღმდეგობა მისი სელისათვის, ის დაუსრულებლად განაგრძობდა თავის გზას სულ პირდაპირ. პირიქით, თქვენ რომ რამე საგანი დადგათ ერთ ადგილას, ის თავისთავად არასოდეს არ დაიძვრის ადგილიდან. ეს ამტკიცებს, რომ ყოველი საგანი ცდილობს შეინარჩუნოს ის მოძრაობა, ან უძრაკი მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფება. ამ კანონს მეცნიერებაში **ინერციის** კანონს ეძახიან.

პლანეტების მოძრაობას არავითარი მიზეზი არ აბრკოლებს. მაშასადამე, ისინი შეუჩერებლივ მოძრაობენ და მაისწრაფიან პირდაპირ და წინ.

რა ძალა იწვევს იმათ მოძრაობას მზის გარშემო? ეს ძალა არის მსოფლიო მიმზიდველობის ძალა. ყოველი სხეული ერთმანეთს იზიდავს. ჩვენ ვერ ვამჩნევთ დედამიწაზე ამ მიმზიდველობას, მაგრამ იმიტომ, რომ სხეულები პატარებია. სამაგიეროდ ჩვენ ვხედავთ, რომ დედამიწა თვითონ იზიდავს ყოველ საგანს. დედამიწის მიმზიდველობა რომ არ იყოს, დიდი ხანია ჩვენ, მთელი დედამიწის ჰაერით და საგნებით, გავფრინდებოდით დედამიწის პირისაგან. რამდენადაც დიდია სხეული, იმდენად ძლიერია მისი მიმზიდველობა პატარა სხეულებისა.

მთვარე ბევრად პატარაა დედამიწაზე. ადამიანი რომ მოხვდეს მთვარეზე, 7-ჯერ ნაკლების ძალით მიიზიდავდა მას მთვარე. ყოველი ფეხის გადადგმა კაცს წასწევდა წინ შვიდი ფეხის გადადგმის მანძილზე.

ინერციის კანონი პლანეტებს ამოძრავებს. მთელი მსოფლიოს მიმზიდველობის კანონი კი იზიდავს მათ მზისაკენ.

მიმზიდველობის ძალა რომ არ ყოფილიყო, პლანეტები ინერციის ძალით გაფრინდებოდენ უჰაერო სივრცეში. ინერცია რომ არ ყოფილიყო, ისინი მზეზე დაეცემოდენ. ორივე ამ კანონის, ძალის გავლენით შეუჩერებლივ უტრიალებენ ისინი მზის გარშემო.

როგორ წარმოიშვა ეს უზარმაზარი სხეულები? ამ კითხვაზე გვიპასუხებს მეცნიერ კანტისა და ლაპლასის ჰიპოთეზა.

ამ მეცნიერების აზრით ურიცხვი მილიონი წლების წინ მზისა, მიწისა და სხვა ჭლანეტების მაგიერ იყო აუარებელი მასა მტვერის ბაწრა ნაწილაკებისა. ეს აუარებელი ნაწილაკების მასა მუქ ნისლეთის ღრუბლებს მიემსგავსებოდა. მიმზიდველობის კანონის ძალით ეს ღრუბლები უზარმაზარ ბურთად გახდა და დაიწყო ბრუნვა თავის გარშემო.

როდესაც ჩვენ ვატრიალებთ ბაწრით ქვას ჩვენი ხელის გარშემო, ვგრძნობთ, რომ ქვა ისწრაფვის მოსწყდეს და გაფრინდეს. ყოველი ბრუნვითი მოძრაობის დროს ვითარდება ამგვარი ძალა. ეს არის **ცენტრომსრბოლი** ძალა. ცენტრომსრბოლი ძალის გავლენით ყოველი მბრუნავი სხეულის ნაწილი ისწრაფვის გაფრინდეს და მოშორდეს მას. თუ სხეული მკვრივია, ვერავითარი ცენტრომსრბოლი ძალა ვერ შესძლებს მოსწყვიტოს მას ნაწილი. მავრამ ის ნისლეთი, რომლიდანაც წარმოიშვა მზე და დედამიწა, მკვრივი არ იყო. ცენტრომსრბოლი ძალის გავლენით მას მოწყდა უშველებელი ცეცხლოვანი ნისლეთის რგოლი. ეს რგოლი თავისთავად გაწყდა და შეიკრიბა ბურთად. ეს ბურთი ამოძრავდა და დაიწყო ტრიალი დიდი ნისლეთის ბურთის გარშემო იმ მიმართულებით, სათკენაც ის ტრიალებდა.

ამნაირად გაჩნდა პირველი პლანეტა.

შემდეგ ორივე ბურთი ექვემდებარებოდა ერთნაირ კანონს. ისინი ტრიალებდენ უფრო და უფრო სწრაფად და მათი ნაწილაკები უფრო და უფრო იზიდავდენ ერთმანეთს და ირგვლივ მსოფლიო სივრცის სიცივის გავლენით უფრო და უფრო იკუმშებოდენ და მკვრივდებოდენ.

ბევრი მილიონი წლების შემდეგ კიდევ მოსწყდა მათ თითო რგოლი. რგოლები ისევ ისე გაწყდა და ისევ ისე გადაიქცა ბურთებად. ახალმა ბურთებმა დაიწყეს ტრიალი თავიანთი წარმომშობი სხეულების ირგვლივ.

ასე გაჩნდა მეორე პლანეტა და თანამგზავრი პირველი პლანეტის.

პლანეტების წარმოშობა.

შემდეგაც ასეთივე ამბავი მეორდებოდა მილიონი წლების განმავლობაში: ცენტრალურ სხეულს სწყდებოდა რგოლი, სწყდებოდა რგოლები მის ირგვლივ მსელელ მრგვალ სხეულებსაც. პირველი ხდებოდა პლანეტად, მეორე კი პლანეტის თანამგზავრად. ეს მეორდებოდა მანამ, სანამ ცენტრალური და მისგან მოწყვეტილი ბურთების ნაწილები ისე არ შემეჭიდროვდენ, რომ ცენტრომსრბოლ ძალას აღარ შეეძლო მოეწყვიტა მათგან რგოლი. მაშინ საბოლოოდ ჩამოყალიბდა პლანეტები და მათი თანამგზავრ-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ნი. მაშინ ჩვენი მზის სისტემაში ამობრწყინდა ჩვენი მზე.

ამნაირად სამმა ძალამ შექმნა ჩვენი მზის სისტემა: **მსოფლიო მიმზიდველობამ** (ანა შეკრება გაფანტული მბურვალე ანთებული ნაწილები ბურთად), **უჰაერო სივრცის სიცივის ძალამ** (მისი გავლენით ბურთი უფრო და უფრო იკუმშებოდა და მკვრივდებოდა) და **ცენტრომსრბოლმა ძალამ** (რომელიც სწყვეტდა ბურთს რგოლებს).

პირველად წარმოშობილი ბურთი, მამამთავარი ჩვენი მზის სისტემის, წარმოიშვა გავარვარებული, ცეცხლოვანი ნივთიერებისაგან. როგორ წარმოიშვა თვით მბურველი ნივთიერება?



სპექტროსკოპი.

ამისათვის ისევ უნდა მივაპაროთ თვალი ცას.

როგორც ზევით ვთქვით, მზის გარშემო ტრიალებს რვა პლანეტა და კიდევ ათასამდე პატარა-პატარა სხეულები—ასტეროიდები. ცაზე კი ჩვენ ვხედავთ ურიცხვ ვარსკვლავებს: შეუფარადებელი თვალით შეიძლება 12 ათასი ვარსკვლავის დანახვა. კარგი დურბინდით 100,000 და ჭოგრით კი მილიონებს. აბა ყურადღებით დავაკვირდეთ ცას რამოდენიმე დღის განმავლობაში. დავინახავთ, რომ პლანეტები მოძრაობენ ცაზე და უახლოვდებიან სხვადასხვა ვარსკვლავებს. ვარსკვლავები არ იცვლიან თავიანთ მანძილს ერთმანეთის მიმართ. ამან მიიყვანა ადამიანი იმ აზრამდის, რომ პლანეტები დედამიწასთან უფრო ახლოს არიან, ვიდრე ვარსკვლავები. მატარებლით მგზავრობის დროს ვხედავთ მახლობელ გორას და შორეულ მთის მწვერვალს. მიეფიანთ რამოდენიმე საათის განმავლობაში, მახლობელი გორა უკვე უკან დაეტოვეთ, მაგრამ შორეული მწვერვალი კი ისევ იმ ადგილს მოსჩანს. რამდენადაც შორს ვართ საგნისაგან, იმდენად ძნელი შესამჩნევია მისი მოძრაობა, ე. ი. მანძილის ცვალებადობა საკანსა და ჩვენს შორის. თუმცა პლანეტები საშინელ დიდ მანძილზეა ჩვენგან, იმათ მოძრაობას მაინც ვამჩნევთ. როგორ უნდა იყოს ჩვენგან დაშორებული ვარსკვლავები, რომ იმათ მოძრაობას სრულიად ვერ ვხედავთ.

მართლაც, ვარსკვლავები ისე შორს არიან, რომ დედამიწაზე არ არის ისეთი საზომი, რომელსაც შეეძლოს გაზომოს მანძილი, რომელიც ჩვენსა და ვარსკვლავებს შორის არის.

ამ მანძილს მეცნიერები განსაკუთრებული საზომით, სინათლის წლებით, ზომავენ.

სინათლე გარბის წამში 300,000 კილომეტრს. დედამიწიდან მზემდის უსწრაფესი აეროპლანით 44 წელიწადს უნდა იფრინო, მატარებლით კი მიხვალ 200 წლის შემდეგ. ამ მანძილს შუქი გაირბენს 8 წამში. უახლოეს ვარსკვლავამდის $4^1/_3$ სინათლის წლის მანძილია. ეს ნიშნავს, რომ ეს ვარსკვლავი ... წადი და 4 თვე უნდა იიროს სინათლემ 300,000 კილომეტრის სისწრაფით წამში, რომ მიაღწიოს ამ ვარსკვლავს მაგრამ არიან ისეთი ვარსკვლავებიც, რომლებიც ჩვენგან 100,000 სინათლის წლით არიან დაშორებულნი. შეიძლება ეს ვარსკვლავები უკვე ჩამქრალიც არიან, მაგრამ ჩვენთვის ისინი კიდევ კიაფობენ ცის სივრცეში და მხოლოდ ასიათასი წლის შემდეგ შეიძლება იმის დანახვა, რა მდგომარეობაშიაც ახლა არიან.

ჩვენ რომ შეგვძლებოდა ერთი წამით ამ ვარსკვლავზე ასვლა და იქიდან დედამიწაზე გადმოხედვა, დავინახავდით დედამიწას ისეთს, როგორიც ის 100-200 ათასი წლის წინეთ იყო.

თუ მივიღებთ მხედველობაში ამ საშინელ სიშორეს, გასაგენია, რა სიდიდის უნდა იყვნენ ისინი. მართლაც, არიან ვარსკვლავები, მზეზე ბევრად დიდრონნი. ისინი ისეთივე ანთებული სხეულებია, როგორც მზე.

ჩვენი მზის სისტემა ერთი პატარა წერტილია ამ უამრავ ქვეყნიერებათა შორის.

ამ უამრავ ქვეყნიერებათა შორის ზოგი ჩვენი მზესავით ანთია და ირგვლივ მას უტრიალებს ისეთივე პლანეტები, როგორც დედამიწა, მარსი, ნეპტუნი, ურანი და სხ. ზოგი მზეზე უფრო ცხარედ ვარვარებს და მის ირგვლივ მბრუნავი პლანეტები ჯერ კიდევ არ არიან გაცივებულნი და ცეცხლის ალებივით ანთიან, ზოგი ჯერ კიდევ უშველებელ გამდნარ ბურთს წარმოადგენს, რომელსაც ჯერ არ მოსწყვეტია რგოლი. დაბოლოს, ამ მოკიაფე უზარმაზარ ქვეყნიერებათა შორის არის ძლიან მბეუტავი ნისლის სივრცეები, **ნისლეთები**. ეს ნისლეთები ბევრად უფრო დიდრონებია, ვიდრე მთელი ჩვენი მზის სისტემა. ეს ნისლეთები შესდგება მატერიის სულ პაწაწკინა გავარვარებული ნაწილაკებისაგან. ამნაირი ნისლეთი იყო პირველად ჩვენი მზის სისტემაც.

საიდან გაჩნდა თვითონ ნისლეთი?

იმისი წარმოშობის ყველა გზები ჩვენ არ ვიცით. მაგრამ ერთი რამ კი ჩვენთვის ცხადი გახდა სპექტროსკოპმა:

ხანდახან ცის სივრცეში აინთებიან ხოლმე ვარსკვლავები. ისინი უმეტესად მოკიაფე ვარსკვლავზე უფრო ცხოველი შუქით კიაფობენ და უცად ჭკვრებიან. სპექტროსკოპით დაიჭიროს ამნაირი ვარსკვლავის სხეი და მან გამოამეღოვნოს საოცარი ამბავი. იმისი სპექტრო ალმოჩნდა ისეთი, როგორიც პლანეტის მეორე პლანეტაზე დაჯახების გამო წვას უნდა გამოეწვია.

უზარმაზარი სხეულები დაეჯახებიან ერთმანეთს უჭაერო სივრცეში; ამ დაჯახებისაგან ინთებიან, იწვიან და იმათ მაგიერ ჩნდება ცეცხლოვანი ნისლეთი.

ნისლეთი იკუმშება ბურთად.

ბურთისაგან წარმოსდგება მზის სისტემა.

გაიფლის მილიარდი წლები და მზე ჭკვრება. მკვდარი პლანეტები დაძრწიან სივრცეში, მათ შორის შემოიკრება სხვა ქვეყნიერებათა მკვდარი სხეულებიც. დაეჯახებიან ერთმანეთს და აინთება პლანეტათა უშველებელი ხანძარი, შემდეგ გადაიქცევა ნისლეთად.

ამრიგად მკვდარ ქვეყნიერებათაგან იბადება მზე, შემდეგ პლანეტები, რომლებზედაც, როგორც ჩვენს დედამიწაზე, აყვავდება სიცოცხლე.

ასეთია ქვეყნიერებათა დაუცხრომელი ტრიალი, რომელსაც არა აქვს დასასრული.

შემდეგ წერილში ჩვენს გვეკნება საუბარი, თუ როგორ წარმოიშვა სიცოცხლე ჩვენს დედამიწაზე.

კ. ლეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარწმუნოება და მეცნიერება

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ხალხში გამეფებული იყო რწმენა, რომ არსებობს რაღაც ზეციური ძალები, რომელნიც მბრძანებლობენ და განაგებენ ადამიანთა ცხოვრებას და თავისი სურვილისამებრ წარმართავენ მას. მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ჩაკრულ და მაშვრალ ხალხს სხვადასხვა რჯულის და ყაიდის ღმერთმსახურნი უქადაგებენ ამ კვეანად მოთმინებას, რომ საიქიოში ბედნიერად იცხოვრონ. მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მშრომელი ხალხი ვერ ერკვეოდა ბუნების ძალების მოქმედებაში, ღელვრებდა და თაყვანსაც სცემდა მათ. ეხლა კი, როდესაც მშრომელი ხალხი განთავისუფლდა, როდესაც მან დაიპყრო ხელისუფლება, ბოლო მოუღო ექსპლოატაციას და ჩაგვრას, ეხლა უნდა განთავისუფლდეს იმ საშინელი შიშისაგან ზეციური ღმერთის წინაშე, რომელსაც უნერგავდენ მას უძველესი დროიდან მღვდლები, „ღმერთმსახურნი“.

როგორ წარმოიშვა სარწმუნოება? სად უნდა ვეძიოთ სათავე ადამიანთა რწმენისა? პირველყოფილი ადამიანი რომელიც ჩვენ ახალგაზრდა უსუსურ ბავშს მოგვაგონებს, ვერ ერკვევა გარემოცულ მოვლენებში. მისი ცხოვრება და არსებობა დამოკიდებულია ბუნების ძალებზე. თუ წვიმა არ მოვიდა, შესაძლებელია მოსავალი არ მოვიდეს, და წვიმის მოსვლა-არმოსვლა კი დამოკიდებულია მის გარეშე მდებარე ძალებზე, რომელთა შინაარსი მისთვის გამოურკვეველია. პირველყოფილი ადამიანისთვის საშინელ შიშის მომგვრელ მოვლენას წარმოადგენს სიკვდილი საზოგადოდ და განსაკუთრებით ის სიკვდილი, რომელიც გამოწვეულია რაღაც უცაბედი შემთხვევით: მისთვის გაურკვეველია, რომ ადამიანი ცოცხლობდა, მოქმედებდა, ლაპარაკობდა, უცებ კი გარდაიცვალა, გაქრა. სხეული დარჩა და რაღაც **წაიდა**. აი, ეს მოვლენა ადამიანისთვის გაურკვეველი იყო და ის მას შიშს ჰკვრიდა. ამასთან ერთად მის შეგნებაში იბადებოდა წარმოდგენა რაღაც საშინელ ძალებზე, რომელნიც განაგებენ მისკენ დამოუკიდებელ მოვლენებს და რომელსაც თვით ადამიანის ცხოვრებაც კი ემორჩილება. აი, სწორედ ამ შიშმა წარმოშვა სარწმუნოება. განა სარწმუნოება ეყრდნობა ცდას, შესწავლას? არა, სარწმუნოება დარყდნობილია რწმენაზე.

ძველი დროიდანვე იწყება შეწირვა მსხვერპლისა, რომ ულმობელმა ღმერთებმა შეიწყნარონ ცოდვილი ადამიანები. ადამიანს ღმერთები წარმოდგენილი აქვს თავის მაგვარ არსებად. მისი აზრით, საჭიროა ღმერთების გულის მოგება ისეთივე საშუალებებით, რომელნიც ასიამოვნებენ ადამიანს, და ღმერთებს უკლავენ ძროხებს და ადამიანსაც კი სწირავენ, რათა მათ შეიწყნარონ ცოდვილნი. ადამიანი თანდათან ვითარდება, ის იგონებს ახალ-ხერხებს და საშუალებებს ცხოვრებისათვის. ის იგონებს იარაღს, აშენებს ოდას, სახლს. ყველა ამისი შექმნა, პირველყოფილი ადამიანის აზრით, შესაძლებელი იყო იმიტომ, რომ წინაპრების სულებმა დაუტოვეს მას, ეს ხერხები. პირველყოფილი ადამიანის აზრით არაფერი არ შეიძლებოდა წარმოშობილიყო თავისთავად. თუ რაიმე არსებობს, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მოინდომეს წინაპრის სულებმა. აგრეთვე ბუნება აუცილებლად უნდა ყოფილიყო შექმნილი რაღაც უძლიერესი ძალის საშუალებით. აქედან იწყება უკვე წარმოდგენა რაღაც ძალაზე, რომლის ნების თანახმად წარმოიშვა ბუნება და თვით ადამიანიც. მის შეგნებაში ღმერთები წარმოდგენილია სხვადასხვა სახეებში, ეკრეთწოდებულ ფეტიშებში. სხვადასხვა ხალხებს სხვადასხვა ღმერთები ჰყავთ წარმოდგენილი ქვეყნის შემქმნელად და დამაარსებლად. ზოგს თავის ფეტიშად, ღმერთად **მზე** აქვს დასახული. და მას ეთაყვანება. საინტერესოა, რომ ებრაელის წინასწარმეტყველის სახელი „მოსე“ წარმოსდგება სიტყვა „მაზე“-საგან, რაც ნიშნავს „მზე“-ს. სხვადასხვა ხალხები თავის ღმერთად სახავდენ სხვადასხვა ცხოველებს და საგნებს. მაგ, ძროხებს, ხარს და ყველა ამ საგნების და ცხოველების გაღმერთება ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანმა შესძლოს დაკმაყოფილება თავისი ცნობისმოყვარეობის, რომელიც მოვლენათა ახსნა-განმარტებას მოითხოვდა. შემდგომ ვითარდება საზოგადოება, წარმოიშობიან კლასები, იწყება კლასთა ბრძოლა და ხდებიან ბატონები, მეფენი, რომელნიც არიან აუარებელი მიწა-წყლის და ხალხის პატრონნი. ადამიანის გონებაში მაშინ იშვება სახე ერთი ძლიერი და სრულმყოფელი ღმერთისა.

ძველი დროიდან ჩვენ ვხვდებით იმავე ქადაგებებს და სწავლას, რომელიც შემდეგ ახასიათებს ქრისტიანობას. ძველი ჩინელი ბრძენის **კონფუციუს** მოძღვრებაში, ინდოელების ბრძენის **ბუდდას** სწავლაშიც იმავე იდეალებს ვხვდებით, რომელიც შემდეგ გაერთიანებული, შეკეთებული და შელამაზებული გვხვდება ეგრეთწოდებულ ქრისტეს მოძღვრებაში. ყველა ის ცნობანი და წარმოდგენები, რომელსაც ჩვენ ეხვდებით ქრისტიანულ მოძღვრებაში, წინნდა მარიამის მიერ მამაკაცის გარეშე ქრისტეს დაბადება და სხვა,—ძველი მოიპოვია, რომელნიც არსებობდენ ქრისტიანობის წინეთ. თვით „წმინდა“ მარიამის გამოსახვა სხვადასხვა სურათებზე თავისი პატარა შვილით იესოთი არ არის ქრისტიანობის კუთვნილება. აი, მაგალითად, კერპთაყვანისმცემლების ქალღმერთის იუნონას გამოსახვა თავისი ვაჟით მარსით, ან-და ქალღმერთის მატოსის სურათი ღმერთშვილით ოზისისით. ჯვარიც კი ვეხვდება ძველ სარწმუნოებებში. ასე რომ თავისთავად ქრისტიანობა არაკვითარს ახალს არ წარმოადგენს. ეს ძველ მოძღვრებათა ფსისტემა და ზოგან კარგი და ზოგან კი მეტად უნიჭო შეერთებაა.

ქრისტიანული მოძღვრება, როგორც ვიცით, წარმოიშვა ძველ რომში, როდესაც მისი აღსასრული დგებოდა. რომში გაბატონდენ მდიდრები, ეკრეთწოდებული პატრიციები, და საზოგადოებაში თავს იჩენდა დიდი უკმაყოფილება არსებული მდგომარეობით. მშრომელი ხალხი ღელავდა, საზოგადოებაში იყო ერთი კლასი, რომელიც ყველაზე ღარიბად ცხოვრობდა. ეს იყო ძველი რომის ეგრეთწოდებული პროლეტარიატი, რომელიც თანამედროვე პროლეტარიატისაგან მით განირჩევა, რომ რომში პროლეტარიატი არ შრომობდა, ხოლო ეხლა კი ის ყველაზე უფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო მეტს შრომობს. სწორედ იმ რომის პროლეტარიატის წიაღში გაფრცელდა მოძღვრება, რომელიც შემდგ ქრისტიანობის სახელწოდებას ატარებს.

თუ წინეთ, თავისი განვითარების განთიადზე, ქრისტიანობა ღარიბი ხალხის მოძღვრება იყო, შემდგომ განვითარებაში ის გადაიქცა მყუჟუფელი კლასების მიერ მშრომელი მასის დამონება-დამორჩილების ერთ-ერთ საშუალებად. ქრისტიანობა და ეკლესია გადაიქცა რეაქციონურ ძალად, რომელიც მით უფრო საშინი იყო, რომ ღარიბ-ლატაკთა დამცველად გამოდიოდა. მართლაც და რას ქადაგებს ქრისტიანული მოძღვრება და მისაღებია თუ არა ის მშრომელთათვის? ეს მოძღვრება ქადაგებს ბოროტებისადმი შეუბრძოლებლობას. როგორც ვიცით, ქრისტეს უთქვამს: თუ მარცხენა ყბაში შემოგარტყეს, მარჯვენაც წაუშვირეო. განა ეს მოძღვრება მისაღებია მშრომელთათვის. იმისთვის, რომ მშრომელმა ხალხმა შესძლოს მოსპობა უსამართლობის, რომელიც არის ამ ქვეყანაზე, იმისთვის, რომ მან შესძლოს ადამიანური ცხოვრების მოპოება თავისი თავისთვის, ის აქტიურად უნდა შეებრძოლოს მის მოწინააღმდეგე კლასს, იარაღით ხელში უნდა მოიპოვოს თავისუფლება და მკაცრი დიქტატურით და, თუ საჭიროება მოითხოვს, სისხლის ღვრითაც დაიცვას მოპოებული თავისუფლება. ეს საჭიროა იმისთვის, რომ მან შესძლოს აქ, დედამიწაზე, და არა იქ, არარსებულ ქვეყნიერებაში, დაამყაროს ნაძდვილი თავისუფლება. ქრისტიანობა კი მრავალი საუკუნეების განმავლობაში ამბენდა მშრომელი ხალხის შეგნებას სხვადასხვა საშუალებებით! ის აქტიურად ებრძოდა მეცნიერებას. განა ქრისტიანულმა ეკლესიამ არ გააგზავნა კოცონზე მეცნიერების უდიდესი წარმომადგენელები, როგორიც იყვნენ ჯორდანო ბრუნო, გუსი და სხვა? განა იმავე ქრისტიანულმა ეკლესიამ არ გასწირა დასაწვავად უდიდესი მეცნიერი კოპერნიკი, რომელიც შეებრძოლა ძველ გაბატონებულ წარმოდგენებს და რომელმაც დაამტკიცა, რომ არა დედამიწის გარშემო ტრიალებს ყველაფერი, არამედ მზის გარშემო ტრიალებს ყველა პლანეტები და მათ შორიც ჩვენი დედამიწაც. განა ქრისტიანული ეკლესიის უძლიერესმა წარმომადგენელმა, რომის პაპმა, 1864 წელს არ დაჰგმო თანამედროვე მეცნიერება, სწავლა-განათლება და კულტურა? და განა იმავე პაპმა 1926 წელს ღმერთობის რანგი არ მიანიჭა ფაშიზმის მამამთავარ მუსოლინს და გასცა ბრძანება, რომ მისი სახელი გამოსახული ყოფილიყო რომის ერთ-ერთ ეკლესიაში? განა მეტი დაცინვა შესაძლებელია, როდესაც მშრომელთა ყველაზე უფრო საშინელი მტერი, წამრთმევი იტალიის მშრომელი ხალხის მონაპოვარის, რომელიც სახლის მორევში ჰკლავს ყველა მშრომელს, რომელიც კი გაბედავს თავის ინტერესების დაცვას—მუსოლინი—ღმერთებში არის გაწმენდილი!! რა მოტყუებებს არ მიმართავდა ეკლესია რომ მოერჩლუნგებია მშრომელი ხალხის მებრძოლი ენერგია!

რუსეთის გლეხობა მრავალი საუკუნის განმავლობაში დარწმუნებული იყო, რომ მართლა არსებობენ ისეთი წმინდანები, რომელნიც თავისი სიწმიდის გამო არც კი გაიხრწნენ. სინამდვილეში კი, თურმე, წმინდანის მაგივრად, როდესაც სათანადო კომისიამ მათი გამოკვლევა მოახდინა, აღმოჩნდა მუყაო, ბამბა და სანთელი. და სწორედ მუყაოს ბამბის და სანთელის საშუალებით ატყუებდენ რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში რუს გლეხობას და უმორჩილებდენ მას ნიკოლოზის ტახტს, რომლის უკანასკნელი და ყველაზე ძლიერი დამცველი გარყვნილი და უზნეო ბერი გრიშკა რასპუტინი იყო. ახლა კი, როდესაც კაცობრიობამ დაიპყრო ბუნების უძლიერესი ძალები, როდესაც ადამიანმა დაიმორჩილა ჰაერი, დრო და სივრცე, როდესაც ჩვენ ჩვენი ნებით მდნიარის მიმართულებასაც კი შევცვლით და მის ძალას ელექტრობად ვაქცევთ,—სარწმუნოებამ დაჰკარგა თავისი ძალა. ის მხოლოდ შეუგნებელთა გონებაში ბუდობს და ჩვენი მორიგი ამოცანაა ამოვაგდოთ სარწმუნოება თავისი უკანასკნელ საბუდარიდან. საჭიროა, რომ ყოველმა შეგნებულმა ამხანაგმა შეძლებისდა გვარად აწარმოოს ბრძოლა სარწმუნოების წინააღმდეგ. ძველ ყოფა-ცხოვრებას, ძველ ტრადიციებს ჩვენ უნდა დავუპირდაპიროთ ახალი ცხოვრება, ახალი ადამიანის ახალი კულტურა, სადაც ადგილი არ ექნება არავითარ ცრუმორწმუნეობას და საღი გონების მატარებელი ახალი ადამიანი ყველა შიგნიერი და ციური ძალების ბატონი იქნება.

ვ. მა—ნი

სარწმუნოება და მეცნიერება ერთმანეთის შეურიგებელი მტრებია. ვიმუშაოთ მეცნიერულ ცოდნათა გასავრცელებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვთა მეოცნებეობა

პიონერები.

ახალგაზრდა ყმრათა გუნდი
მოდის, ვითა ნიავ-ქარი,
და მოისმის რწმენით სავსე
იმათი ხმა, ხმა მქუხარი.

მოდის, მოდის ყრმათა გუნდი,
მოიმღერის, მოგრიალებს,
მოწინავე კოხტა ვინმე
წითელ დროშას აფრიალებს.

ეს მომავლის ყვავილები
დილის ნამზე იშლებიან,
და ახალსა სიმღერასა
მჭექარ ხმაზე იმღერიან.

ვოგი შატბერაშვილი.

პიონერები.

ჩვენ ვართ პატარა პიონერები,
წითელ დროშის ქვეშ ვგუგუნებთ მარშით,
მივდივართ წინ და აღტაცებულნი
არეს ვაღვიძებთ მქუხარე ტაშით.

პაპანებაა, დროშა ფრიალებს...
მზე ძლიერდება უფრო და უფრო,
და ჩვენს ხსოვნაში სახეს იკეთებს
გადაკვანძული ნამგალი—ურო...

ჩვენ ვართ პატარა პიონერები,
წითელ დროშის ქვეშ ვგუგუნებთ მარშით,
მივდივართ წინ და აღტაცებულნი
არეს ვაცოცხლებთ მქუხარე ტაშით.

პიონერი ვანო ტუღუში.

მოწოდება.

ამხანაგებო, წინ გასწით მედგრად,
გესმით, როგორ რეკს ჩაგრულთა ზარი?
და დედამიწის ყოველ კუთხიდან
ისმის მუქარა, ისმის ზანზარი.

ამხანაგებო, წინ გასწით მედგრად;
ზღვა იქოჩრება, ნაპირს ეხება,
მის განუზომელ უსაზღვრო სივრცეს
რაღაც საშიში ფერი ედება.

მალე დაბერავს იქ ქარიშხალი,
და ზღვაც საშინლად აღრიალდება,
მის ტალღებს ზევით თავისუფლების
წითელი დროშა აფრიალდება!

ამხანაგებო, წინ გასწით მედგრად!
იღვიძებს ხალხი, „მონა ერები",
და ემუქრება ოქროს სასახლეს
მუშტმოკუმული მუშის ხელები.

მაშ წინ, წინ გასწით, ამხანაგებო,
გესმით, როგორ რეკს მაშვრალთა ზარი?
გესმით, მოფლიოს ყოველ კუთხიდან
ისმის მუქარა, ისმის ზანზარი!

პიონერი გიორგი მებუკე.

პიონერები.

წითელ ალამით,
შუბლზე სალამით,
მწკრივში ლამაზად
დარაზმულები,
ერთად მოდიან,
მოიმღერიან,
ძმურად ხელი-ხელ
გადაბმულები.
მათ სიმღერებში,
მათ მედგარ ხმებში
ისმის მუქარა
ძველ ქვეყნისადმი,
და სიყვარული,
თან სიბრალული
ყველა დაჩაგრულ
მშრომელისადმი.
საერთო შრომა,
საერთო ცოდნა!
დასვენებითაც
ერთად სტკბებიან,
და მომავლისთვის,
მედგარ ბრძოლისთვის,
კოლექტიურად
ემზადებიან.
ქვეყნის მღილებო,
პიონერებო,
მათი სიმღერა
თქვენ გემუქრებათ,
და მათი მჭრელი,
დაუნდო ცელი
თქვენს ბოროტ სახეს
ელამუნება.

მებუკე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერიეგს!

ჩქარა, ჩქარა!.. ერთი... ორი!..
დაუარეთ ქუჩებს...
შეურყიეთ ძველი რწმენა
ორგულებს და ურჩებს.

—

დაუარეთ!.. ერთი... ორი!..
და რიგებში სწორდით!..
ხედავთ? უკვე მომავალი
ფრთებგაშლილი მოდის!..

—

მოდის, მოდის, მოაქვს ლოდად,
ვით გრიგალი, ისე:
გრძნობა, ცეცხლად ანთებული,
რწმენა, სიხალისე...

—

დაჭკათ!.. დაჭკათ!.. თქვენც წინ მტკიცედ!..
ხუთქიმიან დოლებს!..
რიგ გარეშე ნუ დატოვებთ
მეგობრებს და ტოლებს.

—

ჩქარა, ჩქარა!.. ერთი.. ორი!...
დაუარეთ ქუჩებს...
შეურყიეთ ძველი რწმანა
ორგულებს და ურჩებს.

ვალერ-დუნიაშვილი

ზამთარი

კარ-მიდამო საბანშია,
მთა-ბარს თეთრი თოვლი ფარავს,
აღარ მოსჩანს გზა ტეპნილი:
ყველა ბუმბულს დაუფარავს.

—

დახვეული თოვლის გროვა
მოდის, მოჰყეფს ქარიშხალი,
ყველა სდუმს და არ ბაბანებს
მამაკაცი, ბავში, ქალი...

—

ნისლი ჰფარავს კავკასიონს,
ნაქერალას, ლიხის მთასა,
შეუმოსავს ყველაფერი
თოვლის ფიფქის თეთრ საბანსა.

—

ამ ზამთარმა, პიონერნო,
ვერ გაჰყინოს ჩვენი გული,
კიდევ მოვა საყვარელი
სხივიანი გაზაფხული.

პიონერი: აპალონ მახარაძე

ზღვა გოგოქარი.

ზღვა ბობოქარი,
წითლად მღელვარი,
ვერ დაეტია თვის კალაპოტში.
მისი ტალღები
სწრაფი, მჩქეფარი.
კიდეებს ხვდება
მედგარი, მძლავრი.

*
* *

ცდილობს გახეთქოს,
შუა გაჭკვეთოს
ის კიდეები,
მარადი მკვდრები,
რომელიც ცდილობს
შეინარჩუნოს
ღამე ბურუსი,
ბებერი ხავსი;

*
* *

ზღვა კი წითელი,
მძლავრად მღელვარი,
არ შეუშინდა
კიდეებს ბნელსა;
თვისი ტალღები,
კლდისა გამკვეთი,
კიდეს აკვეთა,
შუა გაჭკვეთა;

*
* *

და გაეშურა
ბურუს—ღამისკენ,
ჩაგვრის ხავსისკენ!
გამოანათა ღამე ბურუსი;
და გადაფიფქა ბებერი ხავსიც
ცოტაღა დარჩა;
ღამე ის ბნელი,
მაგრამ ჩვენი ზღვა,
რწმენით აღვსილი,
იმასაც გასწმედს
მარად უღლელი.

მ. ცქვიტინიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზარმაცი მწყემსი.

ერთი მოთამაშე მწყემსს წარმოადგენს, მეორე-მგელს, დანარჩენი მოთამაშეები კი ცხვრებია. მგელი ხის უკან დაიმალება.

მწყემსი ცხვრებს ერთ მჭიდრო მწკრივად აყენებს.

მწყემსს ძილი მოერევა, მაგრამ ცხვრების გაფანტვის ეშინია. უნდა ცხვრების გადათვლა, მაგრამ დაეზარება, აიღებს ჯოხს და იტყვის: „მეზარება, ცხვრებო, თქვენი დათვლა, მოდით ჯოხით გაგზომავთ და არც ერთი არ დაიკარგებით“.

მწყემსი მწკრივის სიგრძეს გაზომავს, შემდეგ მიწაზე გაწვება და დაიძინებს.

ამ დროს მწკრივის ბოლოში მყოფი ცხვარი წინ გამოვა და დანარჩენ ცხვრებს ეტყვის: „მე წავალ, გავისეირნებ და, თუ მწყემსმა გამოიღვიძოს, თქვენ გაიწ-გამოიწიეთ ისე, რომ გაზომვის დროს მწყემსი ვერაფერს ვერ მიხვდეს და ჩემი წასვლა ვერ შეამჩნიოს“.

დანარჩენი ცხვრები დაეთანხმებიან. ცხვარი ჯოგს მოშორდება და შუა მოედნისაკენ გაქანდება. მას მგელი გამოეკიდება და მოიტაცებს.

მწყემსს გამოეღვიძება, ხელში ჯოხს აიღებს და მწკრივს გაზომავს, მაგრამ ცხვრები ერთმანეთისაგან უფრო შორი-შორს დგებიან, ასე რომ ახლა მწკრივი უწინდელზე უფრო გრძელდება.

— საკვირველია,— ამბობს მწყემსი. ჩემს ფარას, მგონი, ცხვრები მომატებია.

დამშვიდდება და ისევ დაიძინებს. ახლა მწკრივიდან შემდეგი ცხვარი გაიპარება და მგელი მასაც მოიტაცებს. დანარჩენი ცხვრები მწყემსის გამოფხიზლების დროს ერთმანეთისაგან უფრო შორი-შორს დგებიან და მწყემსიც მათ ეშმაკობას ვერ ხვდება.

მწყემსს კიდევაც უხარია, რომ მის ფარას არამც თუ აკლდება ცხვრები, ემატება კიდეც. როდესაც მხოლოდ ორი ცხვარი დარჩება, დაუდგენია მწყემსი მიხვდება თავის დანაშაულს და დაკარგული ცხვრების მოსაძებნად მიდის.

მონახავს მგელს და ეტყვის: „მგელო, მომეცი ჩემი ცხვრები“. მგელი უპასუხებს: „ოღონდ დაიჭირე და მთელი ფარა მიირთვი“. მართლაც, მგელი მთელ ფარას გაუშვებს, მაგრამ ამაღე დროს მგელს ორი უკანასკნელი ცხვარიც მიჰყავს.

მწყემსი აქეთ-იქით გაფანტულ ცხვრებს დაედევნება და თუ რომელიმე ცხვარი დაიჭირა, ის მწყემსი შეიქნება.

მერე მწყემსი გადიქცევა მგლად და მგელი კი მწყემსად, რის შემდეგაც თამაში თავიდან იწყება.

ქანდაკეგანი.

მოთამაშეთა რიცხვი შეიძლება იყოს 15-დან 30-მდე.

მოთამაშენი დგებიან წრედ და ნიშნის მიცემის შემდეგ იწყებენ ურთიერთისაგმი ბურთის გადაგდებას.

მოთამაშემ ბურთი ისეთი ანგარიშით უნდა გადაგდოს ხოლმე, რომ მოლოდინში მყოფმა ბავშვმა იგი ვერ დაიჭიროს. მაგალითად, თუ დაუპირებ რომელიმეს ბურთი გადაუგდო, უნდა მოატყუო იგი და ნამდვილად კი სხვას გადაუგდო.

ბურთის დაჭერის მსურველი, რომელიც მოტყუებულ იქნა, უნდა დარჩეს იმ პოზაში, იმ მოძრაობით, რომელშიც იგი იმყოფებოდა, როდესაც ბურთის გადმოგდებას ელოდა.

რამოდენიმე ხნის შემდეგ, თუ ამსანაგები მოისურვებენ გადაარჩინონ ქანდაკად ქმნილი მოთამაშე, გადუგდებენ ბურთს და ითავისუფლებენ ყოფილი მდგომარეობიდან: თუ ბურთს დაიჭერს, ქანდაკება ცოცხლდება.

ამრიგად თამაში გრძელდება.

რამდენიც მეტია წრეში გაქანდაკებული მოთამაშე, თამაში მით უფრო მხიარული და საინტერესოა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რებუსი

(წარმოდგენილი ჯანიკოსაგან)

მარჯვნიდან
მარცხნით

1

უ

ავდრის მოწი-
ნააღმდეგე

ჩ
ე

უცხოეთის დი-
დი ქალაქი?

წლიწადის მე-12
ნაწილი

მ
ფ
ი

ს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოვა 1927 წ. გამოვა

ორკვირეული საუმაწვილო დასურათებული

ჟურნალი

მოზრდილთათვის

პიონერი

წელიწადი II

ჟურნალი ს. ს. ს. რ. ყველა სკოლებისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ყოველი წევრის, ორგანიზაციის ყოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თვითეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულებაა გამოიწერონ

პიონერი

მიიღება ხელის მოწერა 1927 წლისათვის.

ჟურნალი ღირს გადაგზავნით:

წელიწადში	5 მან.
ექვს თვეს	3 მან.
სამ თვეს	1 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომერი—25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი № 31, განათლების სახალხო კომისარიატი. „პიონერი“-ს და „ნაპკადული“-ს რედაქცია.

რედაქტორი—საარედაქციო კოლეგია.

ტფილისი—30/XI—26. ს. ს. ბ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა პლეხ. ბრ. № 91.
მთავარლიტ № 1657. შეკვ. № 268/2027 ტირაჟი 3000.